

# მე – აქტიური მოქალაქე! ME – ACTIVE CITIZEN!

სახელმძღვანელო ახალგაზრდული ინიციატივებისათვის  
Manual for youth initiatives



ორგანიზაცია „ადამიანი გატირვებაში“  
People in Need

2013

დღევანდელი მსოფლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების როლი სულ უფრო მზარდია. მომავალი თაობა არამარტო სწავლით არის დაკავებული, რაც მისი უშუალო მოვალეობაა, არამედ სულ უფრო მეტად ერთვება აქტუალური პრობლემების გამოვლენასა და გადაწყვეტაში.

როცა ჩვენს ირგვლივ მიმოვიხედავთ, ბევრ საჭირობოროტო საკითხს ვხედავთ; ბევრი რამ არის უკეთესობისკენ შესაცვლელი ან სულაც გამოსასწორებელი. მაგრამ გვგონია, რომ ეს ჩვენ არ გვეხება, ეს ვიღაც სხვამ უნდა მოაგვაროს: მთავრობამ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ან უცხოურმა ორგანიზაციამ... ხშირად გვავინყდება მთავარი, თუ ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, უნდა ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას ჩვენი თემის, ჩვენი ქალაქის, ჩვენი ქვეყნის წინაშე... უნდა გვექონდეს მესაკუთრეობის გრძნობა - რაც შენს ირგვლივაა, შენც გეკუთვნის და მას უნდა გაუფრთხილდე, საკუთარი წვლილი შეიტანო მის მოვლასა და განვითარებაში.... რაგინდ უმნიშვნელოდ უნდა გეჩვენებოდეს შენი წვლილი, მას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია...

ყველაფერი მარტივით დაიწყეთ! მიმოიხედეთ ირგვლივ, რამდენი რამ არის გასაკეთებელი. შენ შეგიძლია გახდე ინიციატორი, მონაწილეობა მიიღო და ხმა მიანვდინო სხვა ადამიანებს, რათა ერთობლივად გადაწყვიტოთ მნიშვნელოვანი საკითხები. ამ სახელმძღვანელოში ბევრ შთაგონებას ნახავ!. გაიგებ იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აქტიური პრობლემების გადაწყვეტაში.

შენი ჯერია!

## შესავალი

ახალგაზრდული ინიციატივები უამრავ ახალგაზრდას აძლევს საშუალებას გახდეს ყოველდღიური ცხოვრების შემოქმედი და გამოთქვას თავისი აზრი ადგილობრივ საჭიროებებსა და ინტერესებზე, ისევე როგორც მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე.

სახელმძღვანელოს შექმნის მთავარი მიზანია ახალგაზრდებში შემოქმედებითობის განვითარება, რათა სცადონ თავიანთი იდეების რეალიზება ინიციატივების მეშვეობით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: კულტურა და ხელოვნება, საზოგადოებრივი ჩართულობა, ეკოლოგია, ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა, აგრარული განვითარება, ახალგაზრდული პოლიტიკა, ჯანმრთელობა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, თავისუფალი დროის სწორად გამოყენება, ანტი-რასიზმი, თანაბარი შესაძლებლობები, სპორტი, მედია, კომუნიკაციები და სხვა მრავალი.

ახალგაზრდების სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი თემის, ქალაქისა თუ სოფლის ცხოვრებაში და ამასთანავე ჰქონდეთ თავიანთი პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, შეესაბამება მათი ჩართულობის მასშტაბების სულ უფრო და უფრო გაზრდას. ამასთანავე შეინიშნება ამ ჩართულობის ფორმების სულ უფრო განვითარება. უფროსი თაობისაგან განსხვავებით ახალგაზრდები ნაკლებად კამათობენ და ნაკლებად იყენებენ გრძელ არგუმენტებს პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატავად. ჩართულობის თანამედროვე მეთოდები უფრო შემოქმედებითია და პირდაპირ არის დაკავშირებული მედიასა და გლობალიზაციასთან.



ახალგაზრდული ინიციატივების მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა. მაგალითად: დებატ-კლუბების შექმნა, სადაც ახალგაზრდობას შეეძლება გამართოს დებატები და განიხილოს მრავალი საჭირობო საკითხი. შესაძლებელია გაზეთის გამოშვება ან რადიო სადგურის შექმნა, აგრეთვე საინფორმაციო კამპანიის წარმოება, ტერიტორიების დასუფთავება, ხეების დარგვა და მრავალი სხვა.

ასე რომ, თუ ჯერ კიდევ არ გადაგინწყვეტიათ ახალგაზრდული ინიციატივის წამოწყება, ეს მეგზური კარგი მიზეზია ამისათვის!





|  |    |
|--|----|
| <b>თავი I</b> — ორგანიზაცია “ადამიანი გაჭირვებაში” მსოფლიოში და საქართველოში .....   | 4  |
| <b>თავი II</b> — PIN-ის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტების ისტორია..... | 5  |
| <b>თავი III</b> — აქტიური მონაწილეობა.....   | 6  |
| ადგილობრივი / რეგიონალური / ეროვნული ახალგაზრდული ინიციატივები.....                  | 7  |
| ახალგაზრდული ინიციატივების რამდენიმე მაგალითი.....                                   | 9  |
| <b>თავი IV</b> — თანამონაწილეობის დონეები.....                                       | 10 |
| <b>თავი V</b> — მონაწილეობის მოტივაცია - მასლოუს თეორია.....                         | 12 |
| <b>თავი VI</b> — გზა ახალგაზრდული ინიციატივებისაკენ.....                             | 13 |
| ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელების 5 ნაბიჯი.....                              | 13 |
| ახალგაზრდული პროექტების დაგეგმარების 10 კითხვა.....                                  | 14 |
| <b>თავი VII</b> — გამოწვევები გზაზე .....  | 15 |
| საფუძვლის მომზადება პროექტისთვის .....   | 15 |
| ჯგუფისა და დროის მართვა .....  | 16 |
| <b>თავი VIII</b> — PIN-ის ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მეთოდოლოგია .....   | 17 |
| <b>თავი IX</b> — ახალგაზრდული ინიციატივები.....                                      | 18 |
| თემი და ტოლერანტობა - სამტრედია.....   | 18 |
| პირველი ნაბიჯი — გელათი.....   | 19 |
| ჩიფსების თაობა - წყალტუბო .....  | 20 |
| ვიზრუნოთ მომავალზე — ტყიბული.....  | 21 |
| დებატ-კლუბი —თერჯოლა .....   | 22 |
| რეგიონალური ფილმების ფესტივალი - ლანჩხუთი.....                                       | 23 |
| გზავნილი თვითმმართველობას — ოზურგეთი .....   | 24 |
| სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.....          | 25 |
| <b>თავი X</b> — ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ევროპაში.....                     | 26 |
| ახალგაზრდული პოლიტიკა ჩეხეთში.....   | 27 |
| <b>თავი XI</b> — ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში.....                             | 28 |
| სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება .....                                  | 28 |
| ახალგაზრდული პოლიტიკა რეგიონებში .....   | 30 |
| მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზი .....                                | 31 |
| <b>თავი XII</b> —საშუალებები ახალგაზრდული ინიციატივების განსახორციელებლად .....      | 32 |
| სვოტ ანალიზი .....   | 33 |
| დოკუმენტური ფილმების ჩვენება და განხილვა.....  | 35 |
| ახალი მედია საშუალებები.....   | 39 |
| წყაროები.....  | 40 |

## თავი I: ორგანიზაცია “ადამიანი გაჭირვებაში” მსოფლიოში და საქართველოში

„ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) არის ჩეხური ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებისა და განვითარების საქმიანობას, მუშაობს რა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების დაცვის კუთხით. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაცია პოსტ საბჭოთა ევროპის ქვეყნებს შორის, და 18 წლის განმავლობაში 37 ქვეყანაში აქვს განხორციელებული პროექტები. 2011 წლის მონაცემებით, PIN-ი არის ერთ-ერთი უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაცია დახმარებისა და განვითარების მიმართულებით მომუშავე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

PIN-ი ახორციელებს სოციალური ინტეგრაციის პროგრამას ჩეხეთის რესპუბლიკასა და მთელს მსოფლიოში. გააჩნია რა გავლენიანი ხმის უფლება ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების წრეებში, PIN-ის მუშაობის მეორე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გლობალური პრობლემების, საგანგებო სიტუაციების, მიგრაციისა და განვითარების თანამშრომლობის შესახებ.

PIN-ი არის განვითარების თანამშრომლობის ჩეხური ფორუმის (FoRS)-ის, „ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსი 2015“-ის, „ევროკავშირის მონიტორინგის ცენტრის (EUMC)-ის“, „ევროსტეპისა და კონკორდის ქსელი“-ს აქტიური წევრი. PIN-ი ასევე ჩეხეთის მთავრობის, ECHO, ევროკავ-



შირის, UNHCR, UNICEF, WFP, IOM-ისა და სხვა მრავალი ორგანიზაციის პარტნიორია.

2005 წლიდან PIN-ი ახორციელებს პერმანენტულ მისიას საქართველოში, ამჟამად ორგანიზაცია უზრუნველყოფს თავის ბენეფიციართა მხარდაჭერას სამეგრელოში, იმერეთში, შიდა ქართლსა და თბილისში. PIN-ის პროექტები 3 ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება (ახალგაზრდული ინიციატივებისა და მცირე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა, კარგი მმართველობა)
2. ეკონომიკური განვითარება (სოფლის მეურნეობა, თანამშრომლობა მეწარმეებს შორის);
3. სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით (საგანმანათლებლო პაკეტის მომზადება სკოლებისათვის);
4. მოწყვლადი ახალგაზრდების მხარდაჭერა.

## თავი II: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტი

ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტს 2008 წლიდან ახორციელებს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით იგი მხარს უჭერს აქტიური მოქალაქეობის განვითარებას. პროექტის მთავარი მიზანი არის მოქალაქეთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ინიციატივების მხარდაჭერა იმერეთის რეგიონში.

**PIN** ახალგაზრდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას ხორცი შეასხან თავიანთ ინიციატივებს და ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის ზრდას. ახალგაზრდული ინიციატივების ფარგლებში მათ ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება როგორცაა: ნარკომანია, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, მონყვლადი ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში, არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია.

მცირე გრანტებით მხარდაჭერა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს კარგ შანსს აძლევს განავითარონ საკუთარი ორგანიზაციული შესაძლებლობები სტრატეგიული დაგეგმარების, ფინანსური მენეჯმენტის, ფონდების მოძიების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა თუ ადვოკატირების მიმართულებით. არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდობის გააქტიურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფის საქმეში.



განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობას. საჯარო მოხელეებს უტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: სტრატეგიული დაგეგმარება, ბიუჯეტირება, ახალგაზრდული პოლიტიკა, სამოქალაქო თანამშრომლობა თემში. ადგილობრივ თვითმმართველობებთან ინტენსიური მუშაობა და შესაბამისი ტრენინგები ეხმარება მათ ჰქონდეთ, ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხების, ისევე როგორც ახალგაზრდული ინიციატივების და ახალგაზრდული პოლიტიკის უკეთესი აღქმა, რომელიც მათი მხრივ გამოიხატება ფინანსურ (ახალგაზრდული ინიციატივების თანადაფინანსება) და ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში.

საჯარო მოხელეებისა და ახალგაზრდებისათვის ტარდება ერთობლივი ბანაკები აქტიურ მოქალაქეობაზე, რაც ხელს უწყობს პირდაპირ დიალოგს და მუნიციპალიტეტის აქტუალურ საკითხებზე დისკუსიას. ბანაკების მუშაობის კონკრეტული შედეგია ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მუნიციპალური სამოქმედო გეგმები, რომელსაც მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა საკრებულოებმა თერჯოლაში, ტყიბულსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში.

## თავი III: აქტიური მონაწილეობა

**იყავი აქტიური!** ნუ დაელოდები, რომ სხვა მოაგვარებს შენს პრობლემებს! გამოავლინე ინტერესი! თვითონ იზრუნე იმაზე, რომ წვლილი შეიტანო განვითარებაში! ნახავ, რომ შეგიძლია მსოფლიო უკეთესი გახადო... ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი სლოგანები არაერთხელ გინახავთ. ისინი ხომ ასე პოპულარულია ჩვენს დროში! რაც მომაბეზრებელი სულაც არ არის. მაშ, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ რაღაც გავაკეთოთ, ინიციატივა გამოვიჩინოთ?



ამ თავში ჩვენ რამდენჯერმე შევხვდებით ტერმინებს “ახალგაზრდული ინიციატივები” და “აქტიური მონაწილეობა”, რათა ვიფიქროთ მათთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა და საერთოდ რას ნიშნავს ახალგაზრდა ადამიანისათვის იყოს აქტიური? როგორ შეიძლება დაგვეხმაროს „ახალგაზრდული ინიციატივები“ გავხდეთ უფრო აქტიურები? და საერთოდ, რატომ წამოვწიეთ ეს საკითხი?

**გახდი ცვლილება!** ჩვენ გაგაცნობთ თქვენს თანატოლებს და მოზრდილებს, რომლებმაც დაიწყეს ფიქრი ადგილობრივ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ისინი არ დალოდებიან, რომ სხვა მოვიდოდა და მოაგვარებდა მათ, არამედ გადაწყვეტეს თავიანთი ცოდნით, გამოცდილებითა და მოტივაციით შეეტანათ წვლილი და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სხვა ადამიანებსაც გაუჩინეს სურვილი, გამხდარიყვნენ უფრო აქტიურები.





## აქტიური თანამონაწილეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდული ინიციატივები არის საუკეთესო საშუალება ახალგაზრდების აქტიური თანამონაწილეობისათვის რეალურ ცხოვრებაში. იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდებმა უნდა შეძლონ ინიციატივების საკუთარ თავზე აღება ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მათ ირგვლივ არსებული პრობლემების გადასაჭრელად და საკუთარი საჭიროებების თავად დასაკმაყოფილებლად (საკუთარი შესაძლებლობებისა და გავლენის ფარგლებში) ნაცვლად მოლოდინისა, რომ სხვა მათ მაგივრად გააკეთებს ამას. ახალგაზრდული ინიციატივების უმეტესობა ადგილობრივ თემებს უკავშირდება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მოიცავს რეგიონალურ, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ საკითხებს.

სახელმძღვანელო ასახავს აქტიური თანამონაწილეობის საფუძვლებს ახალგაზრდულ ინიციატივებში. აქტიურ ადამიანს ძალუძს გავლენა იქონიოს მის ირგვლივ მყოფ გარემოზე და შემოქმედებითად იმუშაოს ჩვეულებრივ საკითხებთან მიმართებაშიც.

აქტიურ თანამონაწილეობას შეუძლია უამრავი სარგებელი მოუტანოს ახალგაზრდებს: გავლენის მოხდენა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე, ახალი უნარებისა და ცოდნის შეძენა, საკუთარი შემოქმედებითობისა და ინტერესების გამოხატვა, თანამოაზრე თანატოლების ჯგუფთან მუშაობა, საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროების ფორმირება, და მრავალი სხვა.

## ადგილობრივი / რეგიონალური / ეროვნული ახალგაზრდული ინიციატივები

### ადგილობრივი გავლენა

ახალგაზრდებს აქვთ უამრავი საშუალება იყვნენ აქტიურნი და მიიღონ მონაწილეობა საკუთარი თემის ცხოვრებაში: ჩამოაყალიბონ ახალგაზრდული კლუბები თავიანთ სამეზობლოში, მოაწყონ მინისქვეშა გასასვლელები, მოიზიდონ მოხალისეები მოხუცთა თავშესაფრების დასახმარებლად, მოაწყონ სკოლებსა და კლუბებში ანტინარკოტიკული აქციები, შექმნან ახალგაზრდული გაზეთი. ეს ახალგაზრდული ინიციატივების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. ცხადია, რომ აქტიური თანამონაწილეობის ფორმები განსხვავდება და ამდენად მათი ბევრნაირად გააზრებაა შესაძლებელი.

მომდევნო თავებში ჩვენ შევეხებით თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს, მათი გავლენის ფაქტორებს და შესაძლებლობათა

ზრდის მნიშვნელობას ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობად ჩამოყალიბების პროცესში. მაგრამ მანამ ჩვენ გვინდა განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს ახალგაზრდული ინიციატივა.

სინამდვილეში, ადგილობრივი გავლენის განსაზღვრისათვის უნდა გავიაზროთ, თუ რა სარგებელს მოუტანს ახალგაზრდების იდეის განხორციელება თემს. შეცვლის თუ არა ის რამეს, შეუწყობს თუ არა ხელს არსებული პრობლემების გადაწყვეტასა და ადგილობრივი თემის განვითარებას. ეს ასევე გულისხმობს ახალგაზრდების მიერ ისეთი ხალხისა და დაწესებულებების მოზიდვას, როგორცაა: საკრებულო, მერია, მუნიციპალიტეტი, სკოლები, ასოციაციები, ახალგაზრდული კლუბები, ეკლესია, გაზეთი და სხვა. ადგილობრივი თემისათვის მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობა, ასევე თანამშრომლობა და ინტე-



გრაჯია ადგილობრივ დაწესებულებებთან თემისათვის მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად, არის ადგილობრივი გავლენის ბირთვი.

სხვადასხვა ახალგაზრდულ ინიციატივებს შეუძლიათ სხვადასხვანაირი ადგილობრივი გავლენის მოხდენა. უზარმაზარი გავლენა იქონია თემზე ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფის საქმიანობამ, რაც ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობას და მათ დახმარებას. მანამდე ამ თემში არავის ფიქრადაც არ მოსვლია შეზღუდულუნარიანი ბავშვების ინტეგრირება მათ ჯანმრთელ თანატოლებთან. რა თქმა უნდა ადგილობრივი გავლენა დამოკიდებულია მოცემული თემის საჭიროებებსა და არსებულ რეალობაზე, მაგრამ ეს ყველაფერი ხშირად გამოიხატება რთულ პირობებში მყოფი ადამიანების დახმარებაში. უზარმაზარი ადგილობრივი შედეგის მოტანა შეუძლია ახალი იდეების განხორციელებას ახალგაზრდული ინიციატივების პროექტების საშუალებით.

### ეროვნული მასშტაბი

ახალგაზრდული ინიციატივების მეორე მნიშვნელოვან ელემენტს ეროვნული მასშტაბი წარმოადგენს. აქვს თუ არა ეროვნული მასშტაბები ინიციატივას, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ საქმიანობას მოიცავს? თუკი დიას, რატომ? და თუკი არა, როგორ განვაერთაოთ ეს მიმართულება?

არ არის ადვილი (შეუძლებელიც კია) ამ შეკითხვას გაეცეს ერთადერთი და მართებული პასუხი. თუმცაღა ამ საკითხის გარკვევა იმ შეკითხვებზე პასუხის გაცემითაა შესაძლებელი, როგორიცაა: კონკრეტული ახალგაზრდული ინიციატივის თემატიკა მხოლოდ ადგილობრივ საკითხებს მოიცავს თუ ეროვნულ საკითხებსაც ეხება? მაგალითად, თუკი ახალგაზრდული ინიციატივა გარემოს დაცვის კუთხით ხორციელდება, მაშინ ეროვნული ას-

პექტი გამოიხატება გარემოს დაცვის კუთხით. ეს პრობლემა და გამოწვევა ყველა რეგიონისა და მუნიციპალიტეტისთვისაა აქტუალური.

უნყოფს თუ არა ხელს თქვენი ახალგაზრდული ინიციატივა იმ ახალგაზრდებს, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა შესაძლებლობებზე და წარმოადგენს თუ არა თქვენს მიზანს მათი თანაბარი სოციალური პირობებით უზრუნველყოფა? მაგალითად: ახალგაზრდები, რომლებიც ხშირად გარიყულნი არიან საზოგადოებიდან მათი განსხვავებულობის (მათი ფერის, განსხვავებული მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობების, სხვა კულტურის, სხვა რელიგიის და ა.შ.) ან შეჭირვებული მდგომარეობის (არა აქვთ ოჯახის მხარდაჭერა, განიცდიან სიდუხჭირეს, დაბალი კვალიფიკაციის, კრიმინალის, ნარკოდამოკიდებულების, უმუშევრობის) გამო, ან უბრალოდ იმიტომ რომ ცხოვრობენ სოფელში ან მოშორებულ ადგილას, სადაც არ მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე. თუკი თქვენი ინიციატივა მიზანმიმართულია რომელიმე ზემოთხსენებული კატეგორიის ახალგაზრდების მხარდასაჭერად, მაშინ ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეგიონალური ან ეროვნული დონის ახალგაზრდული ინიციატივა.

### საერთაშორისო ახალგაზრდული ინიციატივა

რთულია ახსნა თუ რას ნიშნავს საერთაშორისო ახალგაზრდული ინიციატივა. ახალგაზრდული ინიციატივების განსაზღვრა უპირველეს ყოვლისა, ხდება მათი გავლენის მიხედვით ადგილობრივ დონეზე. ამ ინიციატივების დაკავშირება საერთაშორისო საკითხებთან ბადებს გარკვეულ შეკითხვებს.

საქმიანობები საერთაშორისო ახალგაზრდულ ინიციატივებში ხორციელდება პროექტების სახით, რომლებიც ემყარება თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების ადგილობრივ

ახალგაზრდულ ინიციატივებს შორის. თითოეული პარტნიორი მიზნად ისახავს სარგებლობა მოუტანოს თავის თემს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ახალგაზრდული ინიციატივების ფარგლებში ახალგაზრდები ახორციელებენ ადგილობრივ საქმიანობებს, მაგრამ ამასთანავე თანამშრომლობენ მსგავსი საჭიროებებისა და ინტერესების მქონე საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა გაუზიარონ და ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილება, მეთოდოლოგია და ა.შ.

საუკეთესო შემთხვევაში, ასეთი პროექტების საშუალებით, მოზარდებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი კულტურათაშორისი კომპეტენცია, გაიუმჯობესონ გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობებში, ისწავლონ თუ როგორ იმუშაონ და მიიღონ გადაწყვეტილებები საერთაშორისო გუნდთან ერთად, გაინაწილონ მოვალეობები და პასუხისმგებლობები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან.

#### ახალგაზრდული ინიციატივების რამდენიმე მაგალითი:

|              |  |
|--------------|--|
| ადგილობრივი  | დასუფთავების აქციების ორგანიზება         |
|              | სასკოლო გაზეთის გამოშვება                |
|              | დებატების გამართვა ახალგაზრდებს შორის    |
|              | საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზება       |
|              | ინტელექტუალური თამაშების გამართვა        |
|              | ახალგაზრდული კლუბების შექმნა             |
|              | უცხო ენისა და კომპიუტერის კურსები        |
| რეგიონალური  | სახელმძღვანელოს გამოცემა                 |
|              | საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა         |
|              | ვებ-პორტალის შექმნა                      |
|              | ფორუმ თეატრის წარმოდგენების გამართვა     |
|              | ფილმების ჩვენება                         |
|              | საზაფხულო ბანაკების ორგანიზება           |
|              | საქველმოქმედო აქციები უნარშეზღუდულთათვის |
| საერთაშორისო | საერთაშორისო ტრენინგები და სემინარები    |
|              | სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ           |
|              | საერთაშორისო მოხალისეობრივი სამსახური    |
|              | ინტერნეტ ფორუმების ორგანიზება            |
|              | საერთაშორისო კონფერენციების გამართვა     |
|              | ახალგაზრდული ფესტივალების ორგანიზება     |

## თავი IV: მონაწილეობის დონეები:

### თანამონაწილეობა

ევროკომისიის მოტივაცია, აირჩიოს «აქტიური თანამონაწილეობა» ახალგაზრდული ინიციატივების პრიორიტეტად, ნათლად განსაზღვრავს, რომ ამ ქმედების ღირებულება საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს გახდნენ აქტიური მოქალაქეები და ამდენად კონკრეტულად პასუხობს ახალგაზრდული პოლიტიკის თეთრი ფურცლების ძირითად თემებს. ამ ქმედების მეშვეობით დაინერგა ახალი მიდგომები, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდული თანამონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.

როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდულ თანამონაწილეობაზე, ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტერმინოლოგიას: მონაწილეობა, ჩართულობა,

აქტიური თანამონაწილეობა, პროაქტიური თანამონაწილეობა და სხვა. მოცემულ ტექსტში თქვენ ვერ იპოვით თანამონაწილეობის რაიმე ახალ განსაზღვრებას, მხოლოდ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებას ამ თემასთან დაკავშირებით. როგორ შეიძლება ხელი შეუწყოთ ახალგაზრდული ინიციატივების მიერ განხორციელებულ საქმიანობებში მოზარდების აქტიური თანამონაწილეობის გაზრდას? როგორ უნდა წავახალისოთ ახალგაზრდები, ჩართონ ადგილობრივი თემები პროექტის რეალიზაციაში? ეს ქვეთავი დაგეხმარებათ განსაზღვროთ ახალგაზრდული თანამონაწილეობის ინდივიდუალური და სოციალური ასპექტები და მართოთ ახალგაზრდულ ინიციატივებში თანამონაწილეობის პროცესი.

### ვისწავლოთ თანამონაწილეობა

როცა ვსაუბრობთ ახალგაზრდულ თანამონაწილეობაზე ახალგაზრდულ ინიციატივებში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ სხვადასხვა ასპექტზე : თანამონაწილეობა ინდივიდუალურ დონეზე და თანამონაწილეობა სოციალურ დონეზე.

პირველი ასპექტი, თანამონაწილეობა ინდივიდუალურ დონეზე, ეხება ახალგაზრდების პოტენციალს მიიღონ გადწყვეტილება პირველად ეტაპზე. ეს ეხმარება ახალგაზრდებს აირიღონ პასუხისმგებლობა განხორციელებულ საქმიანობებზე. ამდენად, ეს დაკავშირებულია მოზარდების პიროვნულ განვითარებასთან. რაც შეეხება მეორე ასპექტს, თანამონაწილეობა თემის დონეზე, მოიცავს ახალგაზრდების წვლილს მათი იდეებისა და ენერგიის სახით. ეს ყველაფერი უკავშირდება თემს (ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე). ეს ნიშნავს

მივცეთ ახალგაზრდებს გამოთქმის უფლება და აქედან გამომდინარე გარკვეული სახის ძალაუფლება საზოგადოებაში. ამდენად, ეს დაკავშირებულია მოზარდების სოციალურ განვითარებასთან.

ახალგაზრდების აქტიური თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად ახალგაზრდულ ინიციატივებში, მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის ორივე ასპექტის გათვალისწინება. სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი, როგორც მოზარდების როლი, ხელი შეუწყოთ კონკრეტულ ახალგაზრდულ ინიციატივას (როგორც ინდივიდუალურს ასევე გუნდურს).

ადგილობრივ თემში არსებობს თანამონაწილეობის სხვადასხვა დონეები. მოცემული სქემა დაგვეხმარება გავიგოთ ახალგაზრდული ინიციატივების მეშვეობით **საზოგადოებაში თემის ჩართულობის დონეები:**



აქტიური მონაწილეობა

რჩევითი მონაწილეობა

მონაწილეობა

მანიპულაციური მონაწილეობა

არმონაწილეობა

მოდით, განვიხილოთ სტუდენტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი თემის სხვა მოზარდებისათვის ორგანიზებული ახალგაზრდული ინიციატივა. ეს საპროექტო იდეა მოიცავდა თეატრალიზებული წარმოდგენის გამართვას, ადამიანის უფლებებსა და ტოლერანტობასთან დაკავშირებით.

ეს არის:

➡ **არათანამონაწილეობითი** საქმიანობა როცა ახალგაზრდები არ იღებენ მონაწილეობას სოციალური და კულტურული გავლენის მქონე საქმიანობაში. მაგალითი: ადგილობრივი თემის ახალგაზრდები არ მონაწილეობენ წარმოდგენაში, რადგანაც არ არიან ინფორმირებულნი, არ აინტერესებთ თეატრი, ან არ შეუძლიათ გადაიხადონ შესვლის საფასური.

➡ **მანიპულაციური თანამონაწილეობის** დროს ახალგაზრდების მონაწილეობა გამოიყენება ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ (ასოციაციები, ახალგაზრდა მუშები, მწვრთნელები და სხვა) საკუთარი, დაფარული მიზნების მისაღწევად ისე, რომ თავად არ იციან ამის შესახებ.

➡ **მონაწილეობის** დონე არის, როცა ახალგაზრდები გადაწყვეტენ წვლილი შეიტანონ კონკრეტულ საქმიანობაში დასწრებით. მაგალითი : მოზარდების ჯგუფმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო თეატრალურ წარმოდგენაში, როგორც მაყურებელმა. ამ შემთხვევაში, მაყურებელი მონაწილეობდა წარმოდგენაში, მაგრამ არ იყო ჩართული შოუს არც მომზადებაში და არც განხორციელებაში.

➡ **მონაწილეობა ჩჩვევის მიცემაში** არის ეტაპი, როცა ახალგაზრდას შეაქვს თავისი წვლილი საქმიანობასთან დაკავშირებით იდეებისა და მოსაზრებების მიწოდებით, მაგრამ არა აქვს გადან-ყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა. მაგალითი : მოზარდთა ჯგუფი სთავაზობს ორგანიზატორებს საკუთარ იდეებს დიზაინთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებული იქნება მხედველობაში.

➡ **აქტიური თანამონაწილეობის** დროს თემის ახალგაზრდები თავიანთ წვლილს გამოხატავენ საკუთარი იდეების მიწოდებით და ასევე ისინი ჩართული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იღებენ პასუხისმგებლობას პროექტისა და გუნდის სხვა წევრების წინაშე. მაგალითი : ადგილობრივი ახალგაზრდების გუნდი, სტუდენტთა ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან ერთად ორგანიზებას უწევს წარმოდგენის მომზადებას, განხორციელებას და წარმოდგენის წარმატების შეფასებას კონკრეტულ თემში.

## თავი V: მოტივაცია მონაწილეობისათვის მასლოუს თეორია


რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ახალგაზრდებმა შეინარჩუნონ მოტივაცია მთელი ახალგაზრდული ინიციატივის განმავლობაში? მოტივირებული ახალგაზრდა ბევრად უკეთ ახერხებს სირთულეებთან გამკლავებას და მისი პოტენციალის გამოყენებას, მათი ენთუზიაზმი შედეგებში აისახება. მოტივაცია ეხმარება მათ ირწმუნონ საკუთარი თავი, ითანამშრომლონ პრობლემების მოსაგვარებლად, აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, ვალდებულება და მაღალ დონეზე შეასრულონ საქმიანობა.

მასლოუ არის თეორეტიკოსი მოტივაციის საკითხებზე. ვნახოთ, თუ რა მოსაზრებები აქვს მას და რამდენად ესადაგება ეს ახალგაზრდების მოტივირებას ინიციატივების განხორციელების დროს.

მასლოუს თეორია გამომდინარეობს მისი საჭიროებათა იერარქიიდან. მისი აზრით ადამიანების მოტივაციას საფუძვლად უდევს სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილების სურვილი.

- ფიზიოლოგიური საჭიროებები: შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილება და ა.შ.
- უსაფრთხოების საჭიროება: ემოციური სტაბილურობა და ფიზიკური საფრთხისგან დაცულობა
- კუთვნილების საჭიროება: გქონდეს კარგი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან
- საკუთარი თავის პატივისცემა: დადებითი აზრი საკუთარ თავზე, რომლებსაც სხვებიც იზიარებენ
- თვით-რეალიზაციის საჭიროება: პიროვნული ზრდა და განვითარება

### მასლოუს საჭიროებათა იერარქია



## თავი VI: გზა ახალგაზრდული ინიციატივებისაკენ

თქვენ გაგაჩნიათ მოტივაცია, რომ დაიწყოთ პროექტის განხორციელება. მაგრამ გამოცდილების ნაკლებობა შეიძლება დაბრკოლებად იქცეს. გთავაზობთ ხუთ საფეხურს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ ნებისმიერი პროექტისა და ინიციატივის განხორციელების დროს.

### 5

ნაბიჯი 1 – კვლევა

ნაბიჯი 2 – მომზადება

ნაბიჯი 3 – განხორციელება

ნაბიჯი 4 – შეფასება

ნაბიჯი 5 – შედეგების შენარჩუნება

**კვლევა:** ვიდრე რაიმე ინიციატივას წამოიწყებთ, აუცილებელია კარგად შეისწავლოთ ადგილობრივი თემის საჭიროებები. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა და სხვა საშუალებები: ანკეტირება, ფოკუს ჯგუფები, მოსახლეობის გამოკითხვა, უკვე არსებული სტატისტიკური მონაცემები. უნდა დარწმუნდეთ იმაში, რომ თქვენი იდეა მართლაც საჭირო და დროულია და რაც მთავარია, თქვენ თვითონ, როგორც ჯგუფს, შეგნევთ მისი განხორციელების უნარი.

**მომზადება:** უპირველეს ყოვლისა, შემოიკრიბეთ თანამოაზრეები და კარგად აუხსენით მათ რის გაკეთებას აპირებთ და რატომ. გააკეთეთ დავალებების ჩამონათვალი და გადაანალიზეთ მოვალეობები ჯგუფების წევრებს შორის.

მომზადების მთავარი შემადგენელი ნაწილი დაგეგმარებაა. მოამზადეთ პროექტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი ყველა ნიუანსი: მიზნები, ამოცანები, კონკრეტული საქმიანობები, დროის განაწილების გრაფიკი და ბიუჯეტი.

**განხორციელება:** პროექტზე მუშაობისას უნდა გაითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი ასპექტი: უზრუნველყოთ ჩართულობა და მონაწილეობა, მუდმივად აკონტროლოთ ბიუ-

ჯეტის დანახარჯები და პროექტით დაგეგმილი ღონისძიებების დროული და ეფექტური განხორციელება. ჯგუფმა კარგად უნდა დაგეგმოს მიმდინარე საქმიანობები და პერიოდულად თავადვე განახორციელოს მათი მონიტორინგი.

**შეფასება:** შეფასება აუცილებელია პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. მაგრამ წინასწარ უნდა განისაზღვროს რას უკეთებთ შეფასებას, რა მეთოდებით და ვინ არის ჩართული ამ პროცესში. ყოველივე ეს დაგეგმარებათ საბოლოო ანგარიშის მომზადებაშიც.

შეფასებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი მეთოდები: კითხვარი, ინტერვიუ, ოქმები, ჯგუფური აქტივობები.

**შედეგების შენარჩუნება:** თქვენ უკვე განხორციელეთ თქვენი ინიციატივა. შეაფასეთ მისი შედეგები. ახლა კი დროა შემდეგ ნაბიჯებზე იფიქროთ. რა გაგრძელება ექნება თქვენს იდეას, როგორ შეიძლება ის გააფართოოთ და მეტ ადამიანზე გაავრცელოთ. დაგეგმეთ ღონისძიებები, დაარიგეთ ბუკლეტები, ჩართეთ მეტი ხალხი, რათა უზრუნველყოთ თქვენი ინიციატივის სიცოცხლისუნარიანობა.



## 10 შეკითხვა ახალგაზრდული ინიციატივის მოსამზადებლად

მოსამზადებელი ფაზა პროექტის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ თქვენი მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვას სათანადო დრო დაუთმოთ. ეს ათი შეკითხვა ამაში დაგეხმარებათ.

**1. კონტექსტი და მოტივაცია:** რატომ არის იდეა ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი? რატომ უნდათ მათ ამ პროექტის ახალგაზრდული ინიციატივის ფარგლებში განხორციელება? რა არის ამ პროექტის წინაპირობა? რა არის ახალგაზრდების პირადი მოტივაცია?

**2. პრობლემის იდენტიფიკაცია:** რა არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრათ? როგორ გაიგეთ მის შესახებ? ეს არის თემის პრობლემა, თუ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი საინიციატივო ჯგუფის?

**3. მიზნები და ამოცანები:** რა არის პროექტის მიზნები და ამოცანები? რისი მიღწევა უნდათ ახალგაზრდებს ამ პროექტის განხორციელების მეშვეობით? რა სახის ცვლილებების მოტანა შეუძლია პროექტს და რა გზით?

**4. მოსამზადებელი ეტაპი:** რა ქმედებებია საჭირო, რომ მოვემზადოთ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

**5. ჯგუფის წევრების ჩართულობა:** ვინ და როგორ იქნება პასუხისმგებელი პროექტის იდეის განხორციელებაზე? შეუძლია თუ არა ჯგუფის ყველა წევრს ერთი და იგივე ენერგია და დრო დაუთმოს პროექტს? არის თუ არა ლიდერი ჯგუფში? როგორ არის ჯგუფში როლები გადანაწილებული? როგორია კომუნიკაცია?

**6. ბენეფიციარები:** ვინ მიიღებს სარგებელს პროექტიდან? ვინ არის ის ხალხი, რომელზეც პროექტი ზეგავლენას მოახდენს და რა უპირატესობებს მოუტანთ მათ? რა სარგებელს მიიღებენ ახალგაზრდები ამ პროექტიდან? რა სახის ცოდნის მიღებას იმედოვნებენ ისინი პერსონალურად?

**7. ადგილობრივი გავლენა:** რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ამ პროექტმა ადგილობრივ თემზე? არიან თუ არა ჩართულები ამ იდეის განხორციელებაში სხვა მოქმედი პირები ან დანესებულებები? კიდევ ვის შეუძლია ამ იდეის განხორციელების მხარდაჭერა, რათა პროექტმა მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს თემს?

**8. დროის განრიგი:** რა აქტივობებით არის შესაძლებელი ახალგაზრდების მიერ დასახული მიზნების და ამოცანების მიღწევა? ვინ რა ნაწილზეა პასუხისმგებელი? ზუსტად, სად და როდის მოხდება ესა თუ ის საქმიანობა? დროის რა ჩარჩოები არსებობს?

**9. ბიუჯეტი:** რა ხარჯებს უკავშირდება ეს პროექტი? რა მასალები და რესურსები გჭირდებათ? რა წვლილის ან შენატანის გაკეთება შეგიძლიათ პროექტისთვის, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს?

**10. ფინანსების მოძიება:** როგორ აპირებთ თანხების მოზიდვას ინიციატივისათვის? არის თუ არა რაიმე სახის დაფინანსება შესაძლებელი? იცით თუ არა რომელიმე დონორი ორგანიზაცია ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობა თქვენს ქალაქში? როგორ აპირებთ საჯარო მოხელეების დარწმუნებას, რომ თქვენი პროექტი არის კარგი და შეუძლია თემისათვის სარგებლის მოტანა?

## თავი VII: გამოწვევები გზაზე...

პროექტის მსვლელობისას წარმოქმნილი სირთულები და გამოწვევები შეიძლება განვიხილოთ როგორც დიდი პრობლემა. მიუხედავად ამისა, ეს სირთულები გვეხმარება პრობლემების გადაჭრის ტექნიკის გამომუშავებაში, ინდივიდუალურ განვითარებასა და სწავლაში.

წარმოიდგინეთ, რომ თაროზე გიდევთ წიგნი, რომელშიც არის პასუხები ყველა შესაძლო პრობლემაზე, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს ახალგაზრდულ ინიციატივაში. როგორც კი წარმოიქმნება წინააღმდეგობა, მაშინვე გექნებათ მზა გადაწყვეტილება მის გადასაჭრელად... ეს შეიძლება მოსაწყენი იყოს, არა? და მაინც ამ ქვეთავში გთავაზობთ სახელმძღვანელოსა და მითითებებს შესაძლო გამოწვევებისა და სირთულების გადასაღებად.

პრობლემის გადაჭრის გზები თავად პროექტის განმხორციელებლებმა უნდა იპოვონ, თქვენი მხარდაჭერითა და კონკრეტული პროექტის პირობების შესაბამისად. აშკარაა, რომ ახალგაზრდები, მათი გამოცდილება,



უნარები, კომპეტენცია და პროექტის გარემო ძალიან განსხვავდება.

თუმცა ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად სირთულები პროექტში დაკავშირებულია მთავარ გუნდთან (მოტივაცია, ცოდნა, უნარები, ურთიერთობები) ან გარემო პირობებთან (პროექტის განხორციელების პირობები, ცვლილებები, საზოგადოებასთან ურთიერთობის საჭიროებები, ლობირება და ფინანსური რესურსები). ორივე ფაქტორი ერთმანეთზე ახდენს გავლენას. განვიხილოთ ისინი.

### საფუძვლის მომზადება პროექტისათვის ... საჭიროებათა ანალიზი, მიზნები

ბევრ, პროექტის მართვის სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ პროექტი იწყება იდეით. ეს მნიშვნელოვანია, მითუმეტეს უნდა დავიმახსოვროთ, რომ იდეები პირველ რიგში მოდის ახალგაზრდებისაგან. ახალგაზრდულ ინიციატივებში ყველაფრის სათავე ახალგაზრდები არიან, თავიანთი მოტივაციითა და იდეებით. ერთ-ერთი პირველი წინააღმდეგობა, რომელსაც ახალგაზრდები შეიძლება წააწყდნენ, არის ხალხის უკმარისობა მათი პროექტის განსახორციელებლად.

გუნდის ახალი წევრების მოპოვების მეთოდები ისევე განსხვავებული და მრავალფეროვანია, როგორც თვითონ ახალგაზრდები. გვხვდება მაგალითები, როცა განცხადებები ქვეყნდება გაზეთებში, ან იმართება ქუჩის წარმოდგე-

ნები სხვა ახალგაზრდების მოსაზიდად. ზოგ შემთხვევაში ეს ამართლებს, ზოგჯერ კი საჭირო ხდება ჩართულობის უპირატესობის განმარტება.

ახალგაზრდებისათვის საკმაოდ რთულია ჩამოაყალიბონ გუნდი, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, მსგავსი შეხედულებებით პროექტის არსსა და მიზნებზე, ამოცანებსა და პირობებზე. ხშირად გვირჩევნია პირდაპირ გადავიდეთ საქმიანობების განსაზღვრაზე (რაც ბევრად უფრო იოლი მოსაფიქრებელია), ვიდრე დავასრულოთ საჭიროებათა განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია გუნდის წევრები თავიდანვე მივიდნენ ერთ აზრამდე პროექტის მიზნებსა და ამ მიზნების განხორციელების მეთოდების შესახებ, რათა თავიდან აიცილონ

გაუგებრობა პროექტის მომდევნო ეტაპებზე. უპირველეს ყოვლისა, მთელმა ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს პროექტის ძირითადი საფუძვლები. ეს ნაწილობრივ განსაზღვრავს პროექტის მთავარი გუნდის წევრი ახალგაზრდების მოტივაციას.

### რესურსების მოძიება

როდესაც ყველა საჭირო რესურსი განსაზღვრულია, ადამიანური რესურსების მოძიებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და უპირველესად მას უნდა მიექცეს ყურადღება. მხოლოდ ამის შემდგომ ვიძიებთ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო გარე რესურსებს. მაგრამ, მოდით, მეორეს მხრივ განვსაზღვროთ — რას მიიჩნევენ ახალგაზრდები წინააღმდეგობად? «ცოდნის უკამრისობას, განსაკუთრებით ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით». მარი (16 წლის) სამტრედიიდან. მართლაც ახალგაზრდებს უმეტეს შემთხვევებში ეშინიათ ხოლმე პროექტის ფინანსური ასპექტების: თუ როგორ დაადგინონ ფასები და გამოითვალონ ბიუჯეტი, როგორ მოიპოვონ საკმარისი დაფინანსება სხვა წყაროებიდან, როგორ აწარმოონ ანგარიშგება. ნათელია, რომ პროექტის ფინანსური საკითხების საწარმოებლად აუცილებელია გარკვეული ცოდნის ქონა. გარდა ამისა, მხარდაჭერის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია იდეის სწორად წარდგენა, უნდა გქონდეთ საკმარისი რესურსები, რათა სწორად განსაზღვროთ მიზნები და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდები.

უფრო მეტიც, ახალგაზრდებს სჭირდებათ მხარდაჭერა და რჩევა იურიდიულ ასპექტებთან დაკავშირებით. პროექტმა შეიძლება მოითხოვოს ძალიან ძვირი ნივთების ან პროფესიული სერვისის დაქირავება. ასეთ შემთხვევებში უნდა გაფორმდეს ხელმოწერილი კონტრაქტები სრული იურიდიული პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.



### ჯგუფისა და დროის მართვა

ძალიან ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები, რომლებმაც გადაწყვიტეს ახალგაზრდული ინიციატივის წამოწყება, დაკავებულნი არიან ასევე სხვა საქმიანობებით, სწავლითა და მუშაობით. გარდა ამისა, როლების გადანაწილებისას მოტივაცია წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს, თუ რა დროის და ძალისხმევის დახარჯვას ვაპირებთ პროექტის საქმიანობისათვის. ასე რომ ჯგუფისა და პროექტის მართვა არის პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საწყის ეტაპზე, როცა მოტივაცია მაღალია და იდეა ახალი, მოვალეობების გადანაწილება სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე საკმაოდ რთულია შევინარჩუნოთ გადანაწილებული მოვალეობები და შეთანხმებული განრიგი. ამიტომ უნდა განვსაზღვროთ შესაძლო რისკები, რათა შემდგომ მარტივად მოვახდინოთ შესაბამისი ცვლილებები და იოლად მოვერგოთ მათ.

ასევე ჯგუფის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არაა საჭირო ძალიან მკაცრი და დატვირთული განრიგის შემუშავება. ხოლო მეორეს მხრივ, ყველამ წინასწარ უნდა დაგეგმოს თავისი საკუთარი დრო. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ კარგად იყოს გამართული მთლიანი პროექტის კოორდინაცია. უკეთეს შემთხვევაში კოორდინაცია უნდა განხორციელდეს ახალგაზრდული ჯგუფის რამოდენიმე წევრის მიერ.



## თავი VIII: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის PIN-ის მეთოდოლოგია

გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი მეთოდოლოგია, ახალგაზრდული ინიციატივების მცირე გრანტებით მხარდაჭერისა, რომელიც ეფუძნება PIN-ის, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების პროექტებზე მუშაობის სამნობიან გამოცდილებას.

**საგრანტო კონკურსის გამოცხადება:** საგრანტო კონკურსი ცხადდება პროექტის წარმოდგენის ბოლო ვადამდე 2 კვირით ადრე. განაცხადის ფორმა შეიცავს გრანტის მიღებისათვის საჭირო ყველა კრიტერიუმის ჩამონათვალს. მას თან ერთვის შესაბამისი სააპლიკაციო ფორმა. განაცხადები განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე, ადგილობრივ მედიაში, ასევე საჯარო დანესებულებებში. ამასთანავე ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომელზეც ვრცელდება უფრო დეტალური ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ.

**წინასწარი ტრენინგები პროექტების წარაზე:** ყველა დაინტერესებული პირი მოწვეულია სპეციალურ ტრენინგზე, პროექტების წერის საბაზისო უნარ - ჩვევების გასავითარებლად. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდება პროექტის წერის პრაქტიკულ ასპექტებზე, რაც დაეხმარება მონაწილეებს უკეთ ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეები და შესაბამისობაში მოიყვანონ დონორის კრიტერიუმებთან.

**შეფასება:** დონორის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება შემოსული საპროექტო წინადადებების წინასწარი შეფასება (შესაბამისი კრიტერიუმზე შესაბამისი ქულებით)

**ადგილზე ვიზიტი:** საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განხორციელდება ადგილზე ვიზიტები (საინიციატივო ჯგუფებთან შეხვედრა და პროექტების ადგილზე შესწავლა). საჭიროების შემთხვევაში მოხდება საპროექტო წინადადებების კორექტირება, ბიუჯეტის დაზუსტება და ა.შ.

**შესარჩევი კომისია:** შესარჩევი კომისია დაკომპლექტდება პროექტის კოორდინატორის, პროექტის მენეჯერის და დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს წარმოდგენილი წინადადებების, პროექტების შეფასებისა და ადგილზე ვიზიტების შედეგების გათვალისწინებით.

**გრანტების გაცემა:** გრანტები გაიცემა საინიციატივო ჯგუფების ლიდერების, როგორც ფიზიკური პირების სახელზე. გრანტის თანხა გაიცემა ხელზე, შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. თანხა გაიცემა ორ ნაწილად: პირველი ნახევარი ხელმოწერისთანავე და მეორე ნახევარი ორი ან სამი თვის შემდეგ (პროექტის ხანგძლივობიდან გამომდინარე) პირველი ნახევრის ყველა ფინანსური დოკუმენტაციის (ქვითრები, ზედნაღებები, ანგარიშები) წარმოდგენის შემდეგ.

**ანგარიშგება და მონიტორინგი:** პროექტის კოორდინატორი ახორციელებს თითოეული პროექტის რეგულარულ მონიტორინგს. თითოეული გრანტის მიმღები საინიციატივო ჯგუფი წარმოადგენს თხრობით და ფინანსურ ანგარიშებს პროექტის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირის განმავლობაში.

## თავი IX: იმერეთსა და გურიაში განხორციელებული ახალგაზრდული ინიციატივები

ამ თავში თქვენ ნახავთ რვა ახალგაზრდული ინიციატივის მაგალითს - რვა სხვადასხვა პროექტიდან, რომელიც PIN-ის მიერ მცირე გრანტებით დაფინანსდა. თქვენ გაეცნობით ახალგაზრდებს განსხვავებული განათლებით, იდეებითა და საჭიროებებით. მაგალითების ეს პატარა ნაკრები გვიჩვენებს მართლაცდა, მრავალფეროვან შესაძლებლობებს პროექტების განხორციელებისთვის და ახალგაზრდების ჩართულობის სხვადასხვა მიმართულებებს.

### თემა და ტოლერანტობა სამტრედიის

#### პროექტის იდეა:

სამტრედიის №6 საჯარო სკოლის საინიციატივო ჯგუფმა 2012 წელს განახორციელა პროექტი „თემა და ტოლერანტობა“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში კრეატიული უნარების გამოვლინებასა და განვითარებას, ტოლერანტობის პოპულარიზაციას მომავალ თაობაში.

#### წინაპირობები:

სკოლაში პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფები, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მოწვეული იყვნენ დიზაინერი და ტრენერი, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეებმა შეძლეს სპექტაკლის მომზადება, სასცენო კოსტიუმების შეკერვა.

#### მეთოდოლოგია:

საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ მოსწავლეებმა საქველმოქმედო წარმოდგენა გამართეს სამტრედიის სათნოების სახლში. მოსწავლეებმა მათ მიერ გაწეული ქველმო-

ქმედებით შეძლეს მოხუცთათვის ხალისიანი დღის ჩუქება, მათთვის თანაგრძნობის და მხარდაჭერის გამოხატვა.

ასეთი ტიპის ღონისძიებები ერთჯერადი არ ყოფილა. მოსწავლეები კვლავაც სტუმრობენ სათნოების სახლს და სთავაზობენ მოხუცებს ხალისიან სპექტაკლებს. პროექტის საშუალებით შეძენილი სასცენო კოსტიუმებით ხშირად ტარდება სკოლაში სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

#### პროექტის შედეგები:

მოსწავლეებისათვის კრეატიული აზროვნების განვითარება, შემოქმედებითი უნარის გაღრმავება და ტოლერანტობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, მნიშვნელოვანი აქტივობებია სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებისათვის. საინიციატივო ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტი სამაგალითო აღმოჩნდა სხვა ახალგაზრდებისთვისაც და ისინი უფრო აქტიურად ჩაერთნ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## პროექტი: „პირველი ნაბიჯი“ გელათი

### პროექტის იდეა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაცია, სოციალურ პირობებთან შეგუება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც თან ახლავს მთელი რიგი პრობლემები საზოგადოებაში, ბარიერები, ცრუ შეხედულებები, უარყოფითი დამოკიდებულება და ნეგატიური მიდგომები.

ბუნებრივია, გელათის თემშიც მწვავედ იდგა ეს პრობლემა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საზოგადოება ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას შშმ პირთა შესახებ.

### წინაპირობები:

2012 წლის მარტში გელათში ჩატარებულმა კვლევამ (ავტორები: ელისო მანკეპლაძე და ასმათ დათიაშვილი) ცხადჰყო, რომ სათანადო ინფორმაციის არქონის გამო ადამიანები შიშობენ, რომ შეზღუდულობა გადამდებია და შეიძლება დეპრესიაც გამოიწვიოს. მათი უმრავლესობა არაკეთილგანწყობილი იყო შშმ პირთა მიმართ, ისინი ცდილობდნენ არასასურველი კონტაქტების თავიდან აცილებას, მიიჩნევდნენ, რომ შშმ მოსწავლემ არ უნდა ისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და ა.შ.

### მეთოდოლოგია:

რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ფლობდა შესაბამის ინფორმაციას, ადამიანებს უჭირდათ შშმ პირების მიღება. რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ასეთი პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

როცა არაკომერციულმა ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში“ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, გელათის საჯარო სკოლაში



შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფის წევრები და გაჩნდა პროექტის იდეა, რომლის მიზანი იქნებოდა თემში შშმ ადამიანთა შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ჩატარდა ტრენინგები გელათის, კურსების, ორპირის საჯარო სკოლებში, ტრენინგის მონაწილეებმა ნახეს ფილმები: „როგორ ინგრევა კედელი“, „სიყვარულის შესახებ“, გამართეს დისკუსია შშმ პირთა შესახებ. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია, დაბეჭდეს და გაავრცელეს ბუკლეტები, ჩაატარეს აქცია „ერთად დავხატოთ დედამიწა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის შშმ მოსწავლეებიც.

### შედეგები:

პროექტი წარმატებით განხორციელდა და მასში მონაწილე თემის წარმომადგენლებს შეეცვალათ მიდგომები. მათი უმრავლესობა უკვე კეთილგანწყობილია შშმ პირთა მიმართ, ისინი ცდილობენ მათთან კონტაქტების დამყარებას, მიიჩნევენ, რომ საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შშმ პირთა შესაძლებლობები, რადგან ისინიც ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები არიან.



## ჩიფსების თაობა წყალტუბო

### პროექტის იდეა:

არაჯანსაღი კვება და არასწორი კვების რაციონი სულ უფრო მზარდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით კი ბავშვებში, რომლებიც დროის არასწორი განაწილების გამო ხშირად იკვებებიან სწრაფი კვების ობიექტებში, საეჭვო წარმომავლობის პროდუქტებით. ეს ყოველივე ხშირად იწვევს სხვადასხვა დაავადებებს.

წყალტუბოს № 1 საჯარო სკოლაში განხორციელებული პროექტის „ჩიფსების თაობა“ მიზანი იყო ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია; ჯანსაღი საკვები პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სწორი კვების რაციონის განსაზღვრის და შედგენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

### მეთოდოლოგია:

პროექტის საწყის ეტაპზე მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით და ჩატარდა სასკოლო კონფერენცია თემაზე: „ჯანსაღი კვების მნიშვნელობა“. მოწვეული იყვნენ: ექიმები, ფსიქოლოგი, ადგილობრივი სპორტის სასახლის და ქალაქის სხვა სკოლების წარმომადგენლები, მასწავლებლები და მშობლები.

კონფერენციის პარალელურად მოსწავლეებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ბალანსირებული კვება“, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული სპეციალისტი.

მოსწავლეთა ჯგუფის მიერ დამზადდა გამოკითხვის ანკეტები სკოლის მოსწავლეთა შორის წონის პრობლემების და არასწორი კვებით გამოწვეული დაავადებების გამოვ-



ლენისათვის, ჩატარდა სტატისტიკური კვლევა და მოხდა კვლევის შედეგების გაანალიზება.

მოსწავლეებმა მოიძიეს ადგილობრივი საკვები პროდუქტების ძველი რეცეპტები იმერული სამზარეულოდან და შექმნეს „ჯანსაღი საკვების კულინარიის წიგნი“.

### შედეგები:

სკოლის ჰიგიენურ კომისიასთან ერთად მოხდა სასკოლო სასადილოში დამზადებული საკვების ხარისხის შემოწმება. ჩატარდა სლოგანების და ნახატების კონკურსი. დამზადდა პოსტერები, რომლებიც განთავსდა სკოლის სასადილოში. გამარჯვებული ავტორები კი დაჯილდოვდა.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „ჯანსაღი კვების დღე“. რომელზეც მოსწავლეებმა სპეციალურად დამზადებული პოსტერების საშუალებით მოუწოდეს მოსახლეობას უარი თქვან არაჯანსაღ საკვებზე. პროექტი გაშუქდა ადგილობრივ პრესაში.

## „ვიზუალური მომავალი თაობის თვითშეფასების ანგარიშგება“ ტყიბული

### პროექტის იდეა:

ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს“ (TDDF) კიდევ ერთი საინტერესო პროექტის განხორციელების საშუალება მისცა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა გარემოს დაცვის კულტურის ამაღლება მოსახლეობაში და ამ მიმართულებით სხვადასხვა ეკოლოგიური აქციების ორგანიზება. ორგანიზაციამ ამ საინტერესო პროექტში ყველა თაობის ადამიანები ჩართო: საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიდან ასაკოვან მოქალაქეებამდე.

### მეთოდოლოგია:

პირველ ეტაპზე ჩატარდა ეკოსემინარები საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის, რათა მომავალში მათ დამოუკიდებლად ჩატარონ მინი-ტრენინგები პატარებისათვის. ამავე კონტიგენტისათვის გაიმართა კომპიუტერული პროგრამების ტრენინგები. მათ აქტიურად ჩართეს თავიანთი აღსაზრდელები იმ პროექტის მიმდინარეობაში, რომელიც ითვალისწინებდა ნერგების გაშენებას საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე.

ორიგინალური და დასამახსოვრებელი იყო ნერგების დარგვა პატარების მიერ, როცა ბაღის აღსაზრდელებს სკოლის დამამთავრებელი კლასის მოზარდები ეხმარებოდნენ განვანებაში.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების თავისებური გაგრძელება იყო პროექტისვე ფარ-



გლებში მოზარდების მიერ, ქალაქის მდინარის კალაპოტის დასუფთავების აქცია. ამ საქმიანობით გამოჩნდა არა მარტო „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის“ ინიციატივა, არამედ ბავშვების მონდომებაც, მისაბაძი ყოფილიყვნენ ყველა მოქალაქისათვის.

### შედეგები:

პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ტყიბულის საზოგადოებაში. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული პროექტის ყველა ღონისძიებაში. ტყიბულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ კი გამოხატა მზადყოფნა ხელი შეუწყოს პროექტის შედეგების შენარჩუნებას მომავალში და გარემოსდაცვითი აქციები ტრადიციული გახადოს ქალაქის მასშტაბით.



## დებატ-კლუბი თერჯოლა

### პროექტის იდეა:

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში, საინიციატივო ჯგუფმა თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგის, დარეჯან მემანიშვილის ხელმძღვანელობით განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომლის მთავარი მიზანი ახალგაზრდებში დებატების კულტურის განვითარება იყო.

### მეთოდოლოგია:

პროექტის ფარგლებში თერჯოლის 8 საჯარო სკოლაში შეიქმნა დებატ-კლუბები. მათ ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები, სადაც შეისწავლეს დებატების კულტურა, თემატიკის შერჩევა, პრეზენტაციის ხელოვნება, საკუთარი აზრის გამოთქმისა და არგუმენტაციის, სხვისი პოზიციის ანგარიშის განევის კულტურა, პრობლემების კვლევის უნარ-ჩვევები. ეს ცოდნა მოსწავლეებმა დებატების ჩემპიონატში გამოიყენეს, რომლის გამარჯვებულიც სიმონეთის საჯარო სკოლის გუნდი გახდა.

უშუალოდ დებატების ორგანიზების გარდა, პროექტის საინიციატივო ჯგუფმა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა: „ერთი დღე საკრებულოში“, მოისმინეს ტრენინგები: „დებატის პრინციპები, სტრუქტურა და მიმდინარეობა“, იმიტირებული სასამართლო პროცესი, მათ მიერ შექმნილი კაზუსისა და განაწილებული როლების მიხედვით; გააკეთეს კვლევები: მოსწავლეთა სამოქალაქო კულტურის დონე; განათლება, დასაქმების კულტურა და შემოსავლის წყაროები; დოკუმენტური ფილმების ფესტივალისათვის საზოგადოების მზაობა.



### შედეგები:

პროექტი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, იგი დღესაც აგრძელებს საქმიანობას თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ბაზაზე, კლუბს ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაუფინანსა ხელმძღვანელის შტატი. პროექტში პირდაპირ თუ ირიბად 1800-მდე უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩამოყალიბებას აქტიურ მოქალაქეებად.





## რეგიონალური ფილმების ფესტივალი – ლანჩხუთში

### პროექტის იდეა:

ჩეხური არაკომერციული ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ ფინანსური მხარდაჭერით ლანჩხუთში ორი სკოლის ერთობლივი პროექტი განხორციელდა. ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიამ და ლანჩხუთის № 1 საჯარო სკოლამ ორგანიზება გაუწიეს დოკუმენტური ფილმების რეგიონალურ ფესტივალს ადამიანის უფლებებზე.

### მეთოდოლოგია:

პირველ დღეს, 29 ოქტომბერს ნაჩვენები იქნა ორი ფილმი: „სადგურ ლენინგრადსკის ბავშვები“ და „ჟირაფი წვიმაში“. ფილმების ნახვის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ სასულიერო გიმნაზიისა და N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები და რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები, სააქტო დარბაზში გაიმართა დისკუსია. ფილმის „სადგურ ლენინგრადსკის ბავშვები“ ჩვენებას ექსპერტად ესწრებოდა მოწვეული ჟურნალისტი ნინო მშვიდლობაძე, ხოლო ფილმის „ჟირაფი წვიმაში“ ექსპერტად — N1 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი ელენე ნაჭყებია.

30 ოქტომბერს საზოგადოებამ ნახა ფილმი „ბელორუსიის გაკვეთილები“. დისკუსიის დროს დამსწრეთაგან საინტერესო თემატიკაზე გამახვილდა ყურადღება. პარალელური გაივლო საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან. ამჯერად ექსპერტობა ითავა ნინო მოისწრაფიშვილმა.

1 ნოემბერს ნაჩვენები იქნა ფილმი „ლიბერელი რკინის ქალბატონი“. საინტერესო ფილმის ნახვის შემდეგ, გასაკვირი არ იყო ძალიან საინტერესო დისკუსიის გამართვაც. აღნიშვნის ღირსია ის, რომ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსწავლეები. გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები ფილმთან დაკავშირებით. დისკუსიას დაესწრო 35 ადამიანი. ჩვენებას დაესწრნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, ადგილობრივი და რეგიონალური პრესის ჟურნალისტები. ამ ფილმის ექსპერტად მოწვეული იყო N1 საჯარო სკოლის დირექტორი თამაზ კილაძე.

მეოთხე, დასკვნით დღეს, 2 ნოემბერს მაყურებელმა ნახა დოკუმენტური ფილმი „ბირმა ვიჯეი“. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დოკუმენტური ფილმი შერჩეულია ჩეხური ორგანიზაციის არქივიდან, რომელიც ათასობით საინტერესო ფილმს მოიცავს მთელი მსოფლიოდან. ფილმებმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. მით უფრო, რომ ლანჩხუთში პირველად მოხდა მსგავსი ფესტივალის ორგანიზება.

### შედეგები:

პროექტის ფესტივალის მიმდინარეობის განმავლობაში, აშუქებდა ადგილობრივი და რეგიონალური პრესა. სატელევიზიო სიუჟეტი მოამზადა ტელეკომპანია ინფო 9-ის ადგილობრივმა ჯგუფმა. პროექტის ფარგლებში დამზადდა აფიშები, გაკეთდა რეკლამები გაზეთ „ჰო და არა“-ში და „ლანჩხუთის პლუს“-ში. საკმაო გამოხმაურება მოყვა პროექტს რაიონის საჯარო სკოლებიდან. სურვილი გამოთქვეს, ფილმები აჩვენონ საკუთარი სკოლის მოსწავლეებს და გამოიყენონ ისინი საგაკვეთილო პროცესში



## გზავნილი თვითმმართველობას – ოზურგეთი

### პროექტის იდეა:

საქართველოში მოსახლეობა ნაკლებადაა ჩართული ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მით უფრო მათი მოგვარების პროცესში. პრობლემას წარმოადგენს ასევე მოსახლეობის ინდიფერენტულობაც - „ეს მე არ მეხება“ ხშირად გაიგონებთ ადამიანების მხრიდან. მათ არ სჯერათ, რომ რაიმე წვლილის შეტანა შეუძლიათ თავიანთი თემის განვითარებაში.

წინაპირობები: ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ განახორციელა პროექტი „გზავნილი თვითმმართველობას“, რომლის მთავარი მიზანი იყო ოზურგეთისა და ოზურგეთის რაიონის სოფლების მოსახლეობის ადვოკატირება, მათი ჩართვა პრობლემის იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტის მიღების პროცესში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით.

### მეთოდოლოგია:

ორგანიზაციამ გადაწყვიტა ადვოკატირების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიები გამოეყენებინა, რათა მოსახლეობის ჩართულობა უფრო ეფექტური და კრეატიული ყოფილიყო. კერძოდ, შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი - [www.chemitemi.ge](http://www.chemitemi.ge). თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს დააფიქსიროს პრობლემა ფოტოს ან ვიდეოს გამოყენებით. სპეციალურად დამზადებულ რუკაზე მიეთითება პრობლემის კონკრეტული ადგილმდებარეობა. როგორც მოსაგვარებელი პრობლემა, მოინიშნება ნი-

თელი ნიშნულით. როგორც კი ადგილობრივი თვითმმართველობა მოახდენს პრობლემაზე რეაგირებას, ნიშნული ყვითლდება - ანუ საკითხის მოგვარება დაწყებულია. მოგვარებული პრობლემა კი რუკაზე ნაჩვენებია მწვანედ.

### შედეგები:

პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მუნიციპალიტეტში. საიტს ათასამდე მომხმარებელი ჰყავს. სოფლების მოსახლეობის ჩართვის მიზნით, მოზიდული იქნა 6 მოხალისე, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგები საიტის გამოყენებაზე, ისინი კი თავის მხრივ სოფლის მოსახლეობას ასწავლიან მის მოხმარებას.

ვებ-გვერდის პოპულარიზაციისთვის 2 თვის განმავლობაში რეკლამა იბეჭდებოდა 2 გაზეთში: „გურიანიუსი“ და „ალიონი“, ტელევიზიით 3-ჯერ გაშუქდა პროექტის მიმდინარეობა. სულ ამ ეტაპზე ვებ-გვერდზე განთავსებულია 37 პრობლემა, 4 მათგანი უკვე მოგვარებულია, 15-ზე დაწყებულია რეაგირება, 1 პრობლემა ვერ გვარდება.

პროექტის დასასრულს გაკეთდა შემაჯამებელი შეხვედრა ოზურგეთის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, სადაც მონეული იყო თითქმის ყველა სოფლის რწმუნებული, სხდომას ესწრებოდნენ რაიონის გამგებლის მოადგილე სოციალურ საკითხებში ირაკლი სირაძე და სხვა დაინტერესებული მხარეები. ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოთქვა მზადყოფნა მომავალშიც დაუჭიროს მხარი ამ საინტერესო ინიციატივას.

## სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

### პროექტის იდეა:

სამეგრელოს რეგიონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „თემის მხარდაჭერის ცენტრმა“ ...ჩეხური ორგანიზაცია **People in Need**-ის ფინანსური მხარდაჭერით 2012-2013 წლებში განახორციელა პროექტი, „კოალიცია კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისთვის“, რომლის ძირითადი მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სამეგრელოს რეგიონში.

### წინაპირობები:

პროექტის ფარგლებში შეიქმნა რეგიონში მოქმედი 10 არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიცია, რომლებიც მუშაობენ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში, მოხდა მათი შესაძლებლობების გაძლიერება და სტრატეგიის შემუშავება.

### მეთოდოლოგია:

პროექტმა ხელი შეუწყო კოალიციის წევრი ორგანიზაციების უნარ-ჩვევების გაძლიერებას, შესაძლებლობათა განვითარებას. ეს საქმიანობები განხორციელდა ტრენინგების და სემინარების ჩატარების გზით.

ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე:

- ადვოკატირება/ლობირება

- ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები
- სადაზღვევო სისტემის თავისებურებები/პრობლემები
- ორგანიზაციური მართვა/ფინანსური მდგომარეობის მექანიზმები
- ფონდების მოძიება
- სტრატეგიული გეგმის შემუშავება

ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობით, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მოკვლევა და მათი ცნობიერების ამაღლება კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მოხდა ბუკლეტებისა და ბროშურების მომზადება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე, სამედიცინო მედიაციის სამსახურის შესახებ და მოხდა მათი გავრცელება.

### შედეგები:

პროექტის ფარგლებში შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ შეიმუშავა 2 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ საშუალებას მისცემს კოალიციას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ღარიბი მოსახლეობისათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საქმეში.

## თავი X: ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ევროპაში

ახალგაზრდული ინიციატივები ვერ განვითარდება ადგილობრივ დონეზე, თუ არ მოხდა სისტემური ცვლილებები სახელმწიფოს მხრიდან. ამ თავში ჩვენ გთავაზობთ ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ისტორიას ევროპაში და წინადადებებს, რომელიც ჩეხურ გამოცდილებას ეფუძნება. ისინი სასარგებლო იქნება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

### ევროპული ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდების ჩართულობა, როგორც კონცეფცია, შედარებით ახალი ფენომენია ევროპისათვის და ის მაასტრიხტის 1993 წლის შეთანხმებას უკავშირდება, როცა ოფიციალურ დოკუმენტში პირველად გაიჟღერა ახალგაზრდული გაცვლების ნახალისების და მათი სოციალური გააქტიურების აუცილებლობამ.

2001 წლამდე ევროპული ინსტიტუტების ახალგაზრდული საქმიანობები მხოლოდ ცალკეული პროგრამებით შემოიფარგლებოდა, როგორც იყო მაგალითად, „ახალგაზრდობა ევროპისათვის“, რომელიც 1988 წლიდან მიმდინარეობდა. ამის მიუხედავად ყველა თანხმდებოდა, რომ საჭირო იყო ახალგაზრდული ჩართულობის საკითხის განვითარება.

2001 წლის ნოემბერში მიღებული იქნა დოკუმენტი ახალგაზრდების შესახებ (White Paper on Youth), რომელმაც მოუწოდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ეთანამშრომლათ შემდეგ სფეროებში: მონაწილეობა, ინფორმაცია, მოხალისეობა, ჩართულობა და შეეშუშებინათ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

ამ დოკუმენტის საფუძველზე 2002 წლის ივნისში ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდობის საკითხებში ევროპულ დონეზე თანამშრომლობის ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით, 2005 წლის ნოემბერში, მოამზადა ევროპის ახალგაზრდული პაქტი.

ევროკავშირი ახალგაზრდებს მრავალფეროვან პროგრამებს სთავაზობს, მცირე ახალგაზრდული ინიციატივებით დაწყებული, რამდენიმე მილიონიანი ტრანსნაციონალური პროექტებით დამთავრებული. ყველა პროგრამა კონკრეტულ ახალგაზრდულ პოლიტიკას ასახავს. მათგან გამოიყოფა პროგრამა „ახალგაზრდობა მოქმედებაში“, რომლის ბიუჯეტი 885 მილიონი ევროა და 2007-2013 წლებს მოიცავს. ჯპროგრამა მხარს უჭერს ახალგაზრდებისა და მათთან მომუშავე მოზრდილების სხვადასხვა ინიციატივებს, რომელიც ხუთი მიმართულებით ხორციელდება.

**მოქმედება 1** - ახალგაზრდობა ევროპისათვის მხარს უჭერს ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეობას, ჩართულობასა და კრეატიულობას, ახალგაზრდების დემოკრატიულ პროექტებს.

**მოქმედება 2** ევროპის მოხალისეობრივი სამსახური

ეხმარება ახალგაზრდების სოლიდარობის გრძნობის განვითარებას, მათი მოხალისეობრივი საქმიანობის ნახალისებით საზღვარგარეთ.

**მოქმედება 3** - ახალგაზრდობა მსოფლიოში ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების პარტნიორობას მსოფლიო მასშტაბით.

**მოქმედება 4** - ახალგაზრდების მხარდამჭერი სისტემები

მოიცავს სხვადასხვა საქმიანობებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

**მოქმედება 5** - ახალგაზრდობის სფეროში ევ-

როპული თანამშრომლობის ნახალისება მხარს უჭერს ევროპულ თანამშრომლობას, განსაკუთრებით დიალოგს ახალგაზრდებსა და იმ დანესებულებებს შორის, რომლებიც ქმნიან ახალგაზრდულ პოლიტიკას.

**ევროპის ახალგაზრდული ფონდი:** ევროპის ახალგაზრდული ფონდი არის ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1972 წელს ევრო საბჭოს მიერ და რომლის მთავარი მიზანია ევროპის ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერა.

აქტივობები რომელსაც ფონდი აფინანსებს:

## ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა ჩეხეთის რესპუბლიკაში

ევროკავშირის დაფინანსება: ევრო-კავშირის წევრი ქვეყნების მსგავსად, ეროვნული სააგენტოს მეშვეობით ჩეხეთშიც ხორციელდება პროგრამა “ახალგაზრდობა მოქმედებაში”, რომელიც მოიცავს: ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებს, მოხალისეობრივ სამსახურს, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერ პროექტებს, სემინარებსა და ტრენინგებს ასევე პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას და სხვა მრავალ საინტერესო აქტივობას.

“ახალგაზრდობა მოქმედებაში” პროგრამა განსაზღვრულია 13-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის, რომლებიც არიან პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის ლეგალური რეზიდენტები ან აქტივობის ხასიათიდან გამომდინარე ერთ-ერთი პარტნიორი ქვეყნიდან.

სახელმწიფო დაფინანსება: ყველა სამინისტროს გააჩნია ფინანსური რესურსები — ბიუჯეტის ნაწილი ხმარდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებას. წელიწადში ერთხელ ან რამოდენიმეჯერ ცხადდება ღია საგრანტო კონკურსი, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. გრანტების გაცემა ხდება სამინისტ-

- საგანმანათლებლო, სოციალური, კულტურული და ევროპული ხასიათის ჰუმანიტარული აქტივობები;
- აქტივობები, რომელთა მიზანია ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობის გამყარება;
- აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპელი ახალგაზრდების თანამშრომლობისა და უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას
- აქტივობები, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდული საკითხების სამეცნიერო კვლევებთან და სათანადო ანგარიშების მომზადებასთან.

ტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით. კონკურსი ღიაა ყველა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის. გრანტების შერჩევა ხდება სპეციალური შესარჩევი კომისიის მიერ, რომლის შედეგებიც ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

მუნიციპალური დაფინანსება: ჩეხეთის ყველა ქალაქს გააჩნია დაფინანსება, რომელიც ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მოხმარდეს. წელიწადში ერთხელ ან რამდენიმეჯერ ცხადდება ღია კონკურსი. გრანტების გამოყოფა ხდება რამოდენიმე სფეროში, როგორიცაა: კულტურა, განათლება, ახალგაზრდობა, სპორტი. და ა.შ. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების ყველა რეგულაცია ხელმისაწვდომია სააპლიკაციო ფორმასთან ერთად.

კერძო კომპანიები: დიდი კომპანიები კერძო ფინანსურ რესურსებს სთავაზობენ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ არაფორმალურ საინიციატივო ჯგუფებს. ერთ-ერთი მათგანია მობილური ოპერატორი კომპანია “ვოდაფონი”, რომელიც ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო პროგრამას, რომლის მიზანია: ახალგაზრდობაში კრეატიულობის განვითარება, ისევე როგორც ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ამაღლება.



## თავი XI: ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში

ამ თავში ჩვენ გთავაზობთ ახალგაზრდული პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას საქართველოში; ამ პროცესში ჩართულ ორგანოებს და ახალგაზრდების განვითარებისაკენ მიმართულ ძირითად საქმიანობებს.

ახალგაზრდული სექტორის მართვის პროცესში, სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, აღნიშნულ სექტორში მომუშავე დაინტერესებული სუბიექტების საქმიანობების კოორდინირებაა. ახალგაზრდული სექტორი თავის თავში აერთიანებს შემდეგ სუბიექტებს:

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი;
- საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უწყებები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ახალგაზრდობასთან;

### სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 აგვისტოს №1608 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ სრულფასოვანი ცხოვრებით, არიან საზოგადოების აქტიური წევრები, იჩენენ შემწყნარებლობას და ზრუნვით ეპყრობიან სხვა ადამიანებს, არიან დამოუკიდებელი და აქვთ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, ან თუნდაც მთავრო-

- ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური და სასკოლო თვითმმართველობები;
- საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსი;
- ახალგაზრდობასთან მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- მასმედია;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს ქვეყანაში ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციის მთავარ აღმასრულებელ სტრუქტურას, რომლის მთავარი ფუნქციაა განსაზღვროს ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, იზრუნოს ახალგაზრდობაზე, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ნაწილზე; შექმნას ერთის მხრივ საკუთარი სახელმწიფო პროგრამები და მეორეს მხრივ კოორდინირება გაუწიოს მთელ სახელმწიფო სექტორში ახალგაზრდული სფეროს ეფექტურ მართვას.

ბის ძალისხმევით. ყოვლისმომცველი და სექტორთაშორისი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების, სახელმწიფო სტრუქტურების, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის, ასევე, საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი სექტორების ძალისხმევის კოორდინაციას.

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შემდგომი განვითარების მიზნით, 2013 წლის 17 მაისის №112 საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, გაეროს ბავშვთა და მოსახლეობის ფონდების მხადაჭერით, შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“. საბჭოს საქმიანობას კოორ-

დინაციას უწევს საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

საბჭოს მიზნებია:

- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება და პერიოდული განახლება;
- ახალგაზრდული პროგრამების უწყვეტობის ხელშეწყობა და მიმდინარეობის მონიტორინგი;
- ახალგაზრდობის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

საკოორდინაციო საბჭოსთან შეიქმნა 5 სამუშაო თემატური ჯგუფი, რომლებიც დაკომპლექტდა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით და დამოუკიდებელი ექსპერტებით.

თემატური ჯგუფები სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ჩამოყალიბდა: ახალგაზრდების მონაწილეობა, ახალგაზრდების განათლება, დასაქმება და მობილობა, ახალგაზრდების ჯანმრთელობა, ახალგაზრდების სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა და საკანონმდებლო ცვლილებები. მათი მოვალეობაა ახალგაზრდული პოლიტიკის რევიზია და პოლიტიკის 4-წლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება კონკრეტული პროგრამების, მათი განხორციელებისათვის საჭირო დროის ჩარჩოების, პასუხისმგებელი ორგანოების, ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების ეფექტიან მიღწევას. ახალგაზრდებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების გაუმჯობესებული კოორდინაციით შესაძლებელი იქნება უკვე არსებული რესურსებით მეტი პროდუქტიულობის მიღწევა, შედეგზე ორიენტირებული

სტრატეგია კი მეტ ინვესტიციას მოიზიდავს.

საკონსულტაციო პროცესის გაფართოების, ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მეტი ჩართულობის მიზნით, შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი - [www.youth.gov.ge](http://www.youth.gov.ge) ვებ-გვერდზე განთავსებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაცია. ახალგაზრდული პოლიტიკის განხილვასა და დისკუსიაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ეწვიონ ვებ-გვერდს, შეუერთდნენ ფორუმს, მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

1. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამა
2. ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა
3. არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროგრამა
4. კანონმდებლობის განვითარება ახალგაზრდობის მიმართულებით
5. სტუდენტური თვითმმართველობების მხარდაჭერის პროგრამა
6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამა
7. რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების პროგრამა
8. საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობების განვითარების პროგრამა
9. საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა
10. სამოქალაქო და არაფორმალური განათლების პროგრამა
11. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამა
12. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

## ახალგაზრდული პოლიტიკა რეგიონებში

სამინისტრო აქტიურად მუშაობს რეგიონალური განვითარებისა და რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობაზე. ამ თვალსაზრისით უკვე შექმნილია 8 რესურს-ცენტრი, რომელიც მდებარეობს სხვადასხვა რეგიონებში. არსებული ცენტრების ფუნქციაა უზრუნველყონ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები დასაქმების, არაფორმალური განათლების მიღებისა და თავისუფალი დროის შინაარსიანი დაკავების შესაძლებლობებით.

მუნიციპალურ დონეზე არსებობენ ახალგაზრდობის საქმეებზე მომუშავე სამსახურები, რომლებიც სამინისტროსთან კოორდინაციით ახორციელებენ ახალგაზრდულ პოლიტიკას ადგილობრივ დონეზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მწირია რესურსები ახალგაზრდული პოლიტიკის, სტრატეგიული დაგეგმარების და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ უკვე მეხუთე წელია აქტიურად თანამშრომლობს იმერეთისა და გურიის ადგილობრივ თვითმმართველობებთან ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით. ახალგაზრდობის საქმეებზე მომუშავე სამსახურების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: „ახალგაზრდული პოლიტიკა“, „საზოგადოებრივი თანამშრომლობა თემში“, „სტრატეგიული დაგეგმარება“, რომელსაც საერთო ჯამში 243-მდე ადამიანი დაესწრო.

მოეწყო ორი ერთობლივი ბანაკი აქტიურ მოქალაქეობაზე, რომლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობების, საინიციატივო ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს

მონაწილეობა. ბანაკის კონკრეტული შედეგი იყო ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება სამ მუნიციპალიტეტში: ტყიბულში, თერჯოლასა და სამტრედიაში. ამასთან ერთ-ერთ მათგანში (თერჯოლა) სამოქმედო გეგმა ოფიციალურად დაამტკიცა ადგილობრივმა საკრებულომ.





## მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზი

აქტიური მოქალაქეობის ბანაკში ჩამოყალიბებულ იდეას, თერჯოლის მუნიციპალიტეტში კონკრეტული გაგრძელება მოჰყვა: ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს და იგი ახალგაზრდების ერთგვარ, სათათბირო ორგანოს წარმოადგენს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზს აქვს მკვეთრად გამოკვეთილი მიზნები, კერძოდ:

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების ჩართვა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში;
- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება

დარბაზში თავისი წარმომადგენელი ჰყავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, მისი წევრები არიან არჩევნებში გამარჯვებული მე-9-მე-11 კლასების მოსწავლეები. დარბაზის მიმართ ინტერესი დიდია მთელ მუნიციპალიტეტში, რადგან ამ პროგრამის წარმატებულად განხორციელებაში ჩართულები არიან: ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოების და ახალგაზრდობის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

დარბაზს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი,

აქვს კანცელარია, მის შემადგენლობაში არის 6 სექტორი, კერძოდ: განათლებისა და კულტურის, დარგობრივი ეკონომიკის, ტურიზმის საკითხთა, ცხოვრების ჯანსაღი წესის, კვლევისა და მონიტორინგის, სოციალურ საკითხთა. თითოეული სექტორის მუშაობის მიზანია დეტალურად შეისწავლოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის პოტენციალი და შეიქმნას მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიული გეგმა. წარმატების მისაღწევად დარბაზის წევრებთან ერთად იმუშავენ: ლექტორთა, დაინტერესებულ ახალგაზრდათა, კოორდინატორთა და ექსპერტთა ჯგუფები. ადგილობრივი თვითმმართველობა მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზს ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსით უდგას გვერდით, ამის დასტურია ის ფაქტი, რომ დაიშვა დარბაზის კოორდინატორის შტატი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმმართველობის დარბაზი მომავალში დაამყარებს კავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იგი იქნება ერთ-ერთი აქტიური და შედეგზე ორიენტირებული ახალგაზრდული გაერთიანება.





## თავი XII: ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელების საშუალებები

**ამ თავში ჩვენ გთავაზობთ კონკრეტულ რჩევებს თქვენი ინიციატივის განსახორციელებლად.**

ინიციატივის განხორციელების პირველი ნაბიჯი კვლევაა. გთავაზობთ მისი ჩატარების ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს.

**კითხვარები / ინტერვიუები:** საჭიროება-თა კვლევის უმარტივესი გზა არის თემში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. თქვენ შეგიძლიათ მოამზადოთ პატარა კითხვარები, რომელშიც მოცემული იქნება სათანადო კითხვები. ღია კითხვები (საჭიროებს ვრცელ პასუხებს), ისევე როგორც დახურული კითხვები (საჭიროებს პასუხს „კი“ ან „არა“) შეიძლება მომზადდეს რესპოდენტის ასაკის, განათლების და გამოცდილების გათვალისწინებით.

**ფოკუს ჯგუფები:** ფოკუს ჯგუფები გვიჩვენებს საზოგადოებრივ აზრს და გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩავწვდეთ ჩვენს მიერ შესასწავლ საკითხს. კვლევა უმეტესად იყენებს დახურული შეკითხვების მეთოდს, რაც თავის მხრივ ზღუდავს უკუკავშირს, რომელიც შესაძლებელია მიიღოთ რესპოდენტისაგან. ინტერვიუ არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კვლევისათვის მეტი და უფრო ღრმა ინფორმაციის მიღება. მაგრამ ინტერვიუს მეთოდის გამოყენება მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელმაც შეიძლება გადააჭარბოს ჩვენს შესაძლებლობებს. ფოკუს ჯგუფები არის ჯგუფური ინტერვიუ, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ნაკლები ფინანსური დანახარჯებით.

**საფუძვრი 1. მომზადება** – როგორც ყველა სახის კვლევის დროს, კვალიფიციური ფოკუს ჯგუფის ჩატარებისას პირველი ნაბიჯი არის კვლევის მიზნის დადგენა. მნიშვნელოვანია ლოჯისტიკური საკითხების გადანყვეტა: მონაწილეთა შერჩევა, მათი მონევა, აუცილებელი მასალების თავმოყრა და ფოკუს ჯგუფის

ფის გამართვის ადგილის დადგენა.

**საფუძვრი 2. მეთოდოლოგია** - ფოკუს ჯგუფი ყველაზე უფრო ეფექტურია, მაშინ როდესაც მოიცავს 7-12 მონაწილეს. ეს არის ოპტიმალური რაოდენობა დისკუსიებისათვის, სადაც ფასილიტატორს უადვილდება ჯგუფის დავალებების კონტროლი. ოპტიმალური ფოკუს ჯგუფი მოიცავს დაახლოებით ხუთ კითხვას: საწყის ეტაპზე ბრენშტორმინგის საშუალებით მკვლევარმა უნდა შეადგინოს კითხვების ჩამონათვალი, რის შემდეგაც მოახდენს ყველაზე პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი კითხვების ამოკრებას. კითხვები უნდა იყოს ღია, რადგანაც ფოკუს ჯგუფის არსი მდგომარეობს დისკუსიაში. „კი/არა“ პასუხებმა კი, რომელიც ძალიან სპეციფიკურია, შეიძლება შეზღუდოს დისკუსია და შეამციროს ფოკუს ჯგუფის პროდუქტიულობა.

**საფუძვრი 3. ფასილიტაცია** - ფასილიტაცია არის ფოკუს ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. გთავაზობთ მინიმუმებს, რომელმაც ფოკუს ჯგუფი შეიძლება უფრო წარმატებული გახადოს:

- დაადგინეთ ფოკუს ჯგუფის წესები
- თანაბრად ჩართეთ ყველა მონაწილე
- გამოიყენეთ არავერბალური კომუნიკაცია
- მოერიდეთ თავის დაკვრით დათანხმებას ისევე როგორც “კი გეთანხმები” და “ჰო” პასუხებს. ფასილიტატორის მთავარი ფუნქციაა მიიღოს უკუკავშირი მონაწილეთაგან. ასეთმა პასუხებმა კი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ჯგუფი.

**საფუძვრი 4. ანალიზი** - ანალიზი ფოკუს ჯგუფის დამთავრებისთანავე უნდა დაიწყოს, რათა სათანადო დასკვნები გამოიტანოთ მიღებული ინფორმაციიდან.

მას შემდეგ, რაც საჭიროებები გამოიკვლიეთ, დროა საკუთარი შესაძლებლობები შეაფასოთ. ამის საუკეთესო საშუალებაა კი სვოტ ანალიზი.

## სვოტ ანალიზი:

**სვოტ-ანალიზი** არის ინგლისური სიტყვების აბრევიატურა: **Strength**-სიძლიერე, **Weaknesses**-სისუსტე, **Opportunity**-შესაძლებლობა, **Threats**-საფრთხე

გამოიყენეთ ეს მეთოდი ახალგაზრდებთან, რათა მათ შეძლონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიკაცია, ასევე შეეძინათ ნათელი წარმოდგენა იმ საფრთხეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ პროექტის განხორციელების დროს.

### სიძლიერე:

1. რისი გაკეთება შეგიძლიათ კარგად? რა არის თქვენი საუკეთესო უნარ-ჩვევები?
2. რა სათანადო რესურსები არის თქვენთვის ხელმისაწვდომი თქვენს ქალაქში?
3. რა უპირატესობები გაგაჩნიათ ქალაქში არსებულ ორგანიზაციებთან/პროექტებთან შედარებით?
4. რას მიიჩნევს ხალხი თქვენს განსაკუთრებულ სიძლიერედ/სისუსტედ?

### სისუსტე:

5. რას აკეთებთ ცუდად? რისი გაუმჯობესება გჭირდებათ?
6. რა რესურსების ნაკლებობას განიცდით თქვენს ქალაქში?
7. რა ნაკლოვანებები გაგაჩნიათ ქალაქში არსებულ სხვა ორგანიზაციებთან/პროექტებთან შედარებით?
8. რა მიაჩნია ხალხს თქვენს მთავარ შეზღუდვად/ნაკლოვანებად?

### შესაძლებლობა:

9. ახალგაზრდული სამუშაოებისათვის რა საფრთხეები/ხელსაყრელი პირობები არსებობს თქვენს ქალაქში?

### საფრთხეები:

10. რა ხელისშემშლელი გარემოებები არსებობს თქვენს ორგანიზაციაში/ქალაქში?

11. ხომ არ არის ადგილობრივი თემი სკეპტიკურად განწყობილი ან ზურგს ხომ არ აქცევს თქვენს იდეას? (სამეზობლო, მუნიციპალიტეტი, ახალგაზრდული საბჭოები, სკოლები...)
12. არის თუ არა დრო ფაქტორი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენი პროექტის წარმატებას? გაქვთ თუ არა თქვენ/ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა პროექტს მიუძღვნათ თანაბარი დრო?
13. ერთნაირად გესმით თუ არა თქვენ/ჯგუფის წევრებს პროექტის იდეის არსი? გინდათ მიაღწიოთ ერთი და იგივე მიზნებს?
14. გაქვთ თქვენი პროექტისათვის საჭირო ფინანსები? გესაჭიროებათ თუ არა თანადაფინანსების მოძიება?
15. შეუძლია თქვენს რომელიმე ნაკლოვანებას/სისუსტეს სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს პროექტს?

განსაზღვრეთ ეს ყოველივე თქვენი და იმ ხალხის შეხედულებით ვისთანაც გინევთ თანამშრომლობა. იყავით რეალისტური! თუ თქვენ გაქვთ რაიმე პრობლემა, მაშინ სცადეთ ჩამოწეროთ თქვენი შესაძლებლობები და ზოგადად დახასიათება. ამ სახის ანალიზის განხორციელება ხშირად მიგვითითებს, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა პერსპექტივა გაგაჩნიათ თქვენი პრობლემების გათვალისწინებით.

## ტრენინგები და სემინარები

**მიზანი:** არაფორმალური განათლება ეფექტური საშუალებაა სხვადასხვა თემების სასწავლებლად. კვალიფიციური ტრენერის მიერ ჩატარებული ტრენინგს ან სემინარს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თემის ათვისების თუ ზოგადად ახალგაზრდის გააქტიურების თვალსაზრისით. მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სწორად შევარჩიოთ ტრენერი, რათა მის მიერ ჩატარებულმა ტრენინგმა უკუეფექტი არ გამოიწვიოს.

**საშუალება:** სასურველია ინტერაქტიული მეთოდოლოგიის გამოყენება (როლური თამაშები, მუშაობა ჯგუფებში, დისკუსია, უკუკავშირი), რომელიც ტრენინგის მონაწილეთა ასაკზე, გამოცდილებასა და მოლოდინებზე იქნება ადაპტირებული. აუცილებელია ტრენინგის წინასწარ დაგეგმვა, დროში გაწერა, მასალების მომზადება და ბოლოს მონაწილეთა შეფასების გათვალისწინება.

## დებატები და დისკუსიები

**მიზანი:** მსჯელობა და კამათი სხვადასხვა თემებზე, აზრების გაცვლა, არგუმენტირება, სხვისი აზრის პატივისცემა, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, ხელს უწყობს მოზარდის კრიტიკული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

**საშუალება:** როგორც დებატების, ასევე დისკუსიის ჩასატარებლად აუცილებელია კარგი ფასილიტატორი, ვინც სწორად წარმართავს პროცესს. მასზეა დამოკიდებული რამდენად სწორად დასვამს კითხვებს, შეძლებს პერეფრაზირებას, როცა შეკითხვა გაუგებარია. მან ყველა მონაწილე უნდა ჩართოს თანაბრად, განსაკუთრებით პასიურები. კითხვით მმართოს მათ, რაც მოუხსნით თავდაპირველ შებოჭილობას და უფრო თამამად ჩართავს საკითხის განხილვაში.

## საინფორმაციო კამპანიები

**მიზანი:** არსებობს თემები და საკითხები, რომლის შესახებაც საზოგადოებამ ცოტა რამ იცის, ან სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ახალგაზრდებს შესწევთ უნარი სხვადასხვა

აქტივობებით მიიპყრონ ადამიანების ყურადღება და წამოსწიონ მნიშვნელოვანი თემები.

**საშუალება:** საინფორმაციო კამპანიები შეიძლება სხვადასხვა სახით წარიმართოს: მსვლელობა, პლაკატების გაკვრა, საინფორმაციო ბუკლეტების ან ბროშურების დამზადება, კედლის გაზეთის გამოშვება, ახალი მედია საშუალებების გამოყენება.

## დასუფთავების აქციები

**მიზანი:** გარემოს დაცვა დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე საჭირობო საკითხია. იმის მიუხედავად, რომ ეს გლობალური პრობლემაა, თითოეულ ჩვენთაგანსაც შეუძლია თავისი წვლილის შეტანა. ეკოლოგიური საკითხების წამოსაწევად, მარტივი და ეფექტური გზაა დასუფთავების აქციების ორგანიზება.

**საშუალება:** პირველ რიგში განსაზღვრეთ ადგილი, რომლის დასუფთავებასაც აპირებთ და გაავრცელეთ ინფორმაცია თემში. რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება, მით მეტია ეფექტურობა. წინასწარ მოიმარჯვეთ საჭირო მასალები: რეზინის ხელთათმანები, ცელოფნის პარკები ნაგვისთვის და რაც მთავარია, იცოდეთ სად გადაგაქვთ ნარჩენები, რომ ერთი ადგილის დასუფთავების ხარჯზე მეორე არ დაანაგვიანოთ. და კიდევ ერთი! მოიფიქრეთ როგორ შეინარჩუნებთ შედეგებს! დაამაგრეთ გამაფრთხილებელი ნიშნები ან შემოიღეთ ჯარიმები.

## პუბლიკაციები

**მიზანი:** საინფორმაციო კამპანიების ჩასატარებლად, ფართო მასების ყურადღების მისაპყრობად, ახალი ინფორმაციის გასავრცელებლად საუკეთესო გზაა პუბლიკაციების გამოცემა.

**საშუალება:** პუბლიკაციების მარტივი მაგალითებია საინფორმაციო ბიულეტენები ან ბროშურები, რომელიც ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ დაბეჭდოთ და თქვენთვის სასურველი დიზაინი გაუკეთოთ, მისი თემატიკიდან და მიზნობრივი ჯგუფიდან გამომდინარე.



## დოკუმენტური ფილმების ჩვენება და განხილვა

დოკუმენტური ფილმების ჩვენება არის შედარებით მარტივი, მაგრამ ძალიან ეფექტური საშუალება, რათა საზოგადოებას გავაცნოთ ადგილობრივი და მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელოვანი თემები. ფილმები, როგორც ვიდეო-ვიზუალური თანამედროვე საშუალება, არა მხოლოდ საინტერესოდ გადმოსცემენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე, არამედ წარმოადგენენ რეალური ადამიანების ისტორიებს, რომელთა ცხოვრებაც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით კავშირშია მათთან. დოკუმენტური ფილმები შეიძლება გადაიქცეს განსაზღვრული საკითხის ან პრობლემის გადაჭრისათვის მოტივაციის წყაროდ. ჩვენება შესაძლოა იყოს ერთჯერადი, მაგრამ ასევე შეიძლება მოეწყოს სერიის სახით. ასეთ შემთხვევაში წინასწარ უნდა შემუშავდეს ჩვენების კონცეფცია.

## ჩვენება და განხილვა სკოლაში

ყოველი ჩვენების ბოლოს უნდა მოეწყოს თავისუფალი ან დაგეგმილი დისკუსია. ეს დაგეგმვებზე ფილმის თემატიკაზე მუშაობაში, რათა მოხდეს რაიმე საორჭოფო საკითხებისა და მოხდენილი შთაბეჭდილების განხილვა, რომელიც გამდიდრებული იქნება სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციით. ჩვენების შემდგომი განხილვები ხშირად უფრო საინტერესოა, ვიდრე თავად დოკუმენტური ფილმი. ასევე შესაძლებელია სტუმრის მოწვევა დებატებისათვის — ეს შეიძლება იყოს ექსპერტი კონკრეტულ სფეროში ან ადამიანი, ვისაც გააჩნია გამოცდილება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

### როგორ?

1. მოიწვიეთ საორგანიზაციო ჯგუფი და მკაფიოდ განსაზღვრეთ წევრების კომპეტენციები და მოვალეობები. ასე დაზოგავთ დროს და აიცილებთ გაუგებრობას;
2. აწარმოეთ პირდაპირი ურთიერთობა სკოლის მასწავლებლებთან და ხელმძღვანელებთან;
3. ტექნიკური საკითხები: სად და როდის გაიმართება ჩვენება და რა ტექნიკური მოთხოვნებია (პროექტორი, დაბნელებული ოთახი, და ა.შ.) თუკი არ არის დამაკმაყოფილებელი პირობები შეეცადეთ ითხოვოთ საჭირო ინვენტარი;
4. გაითვალისწინეთ პროექტირების ვადები და თემატიკა და შეარჩიეთ საჩვენებელი ფილმი;
5. მოიფიქრეთ თუ ვის მოიწვევთ დებატებისათვის და დაუკავშირდით ამ ადამიანს. თუკი არ იცით ვინ მოიწვიოთ, მიმართეთ შესაბამის ორგანიზაციას ან დაწესებულებას;



6. აიღეთ ფილმი (შეგიძლიათ მიმართოთ “ადამიანი გაჭირვებაში” საქართველოს ან სკოლის ვიდეოთეკას);
7. იზრუნეთ ეფექტურ პრომოუშენზე — თუკი მაყურებლებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია ჩვენების შესახებ, ნათელია, რომ ისინი არ მოვლენ. გული არ გაიტეხოთ, თუკი დასწრება თავიდან დაბალი იქნება. ამაში არაფერია უჩვეულო. დოკუმენტური ფილმები არაა პოლიუდის ბლოკბასტერები. დასაწყისისათვის უნდა მოიპოვოთ მაყურებლის ინტერესი.



8. მოემზადეთ დებატებისათვის: მოიფიქრეთ თემა რომელზეც გაამახვილებთ ყურადღებას, თუ რაზე ისაუბრებთ, მოიძიეთ აქტუალური ინფორმაცია საკითხის შესახებ და მოამზადეთ საკმაო რაოდენობის შეკითხვები სტუმრებისათვის. მოაწყვეთ საცდელი ჩვენება: შეამოწმეთ და იმეცადინეთ ყველაფერში, გამოსცადეთ ტექნიკა;

9. მოაწყვეთ ფილმის ჩვენება განხილვებით;

10. გუნდის სხვა წევრებთან ერთად შეაფასეთ თქვენი მიღწევები, განხილეთ თუ რისი გაუმჯობესება და გათვალისწინებაა საჭირო მომავლისათვის. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ უკუგება მაყურებლებისაგან კითხვარების საშუალებით.

## დოკუმენტური ფილმის ჩვენების შემდგომი განხილვები

ფილმი შეიძლება შეივსოს გუნდური განხილვებით ჩვენების შემდეგ. განხილვის მიზანია ნათლად ჩამოყალიბდეს მოსაზრება ფილმის თემატიკასთან დაკავშირებით.

ასევე შესაძლებელია მოინვიოთ სტუმარი დებატებისათვის, ვინც მეტი იცის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეუძლია უპასუხოს მაყურებელთა შეკითხვებს.

თემის განხილვა მნიშვნელოვანი იარაღია, იმისათვის, რომ მოზარდებმა ისწავლონ კრიტიკული აზროვნება, ასევე ხელს უწყობს საინტერესო ინტერაქტიული სივრცის შექმნას, რაც საშუალებას აძლევს დამსწრეთ გამოხატონ თავიანთი ემოციები და ახალი გამოცდილება, გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები და გაიმდიდრონ ცოდნა.

განხილვებისა და დებატების დროს არ ეცადოთ იპოვოთ პრობლემის გადაწყვეტის გზები. ეს უბრალოდ არის ადამიანებს შორის აზრთა გაცვლისა და საუბრის პროცესი.

### როგორ?

თუკი გეგმავთ ფილმის ჩვენებას, რომელსაც შემდგომ თემის განხილვა მოჰყვება, საფუძვლიანად უნდა მოემზადოთ ღონისძიების დაწყებამდე.

1. უპირველეს ყოვლისა გუნდის სხვა წევრებთან ერთად უყურეთ ფილმს, რათა იცოდეთ ფილმის ძირითადი თემატიკა, თუ როგორ არის ეს თემატიკა გადმოცემული და რა მოსაზრებებია წარმოდგენილი ფილმის საშუალებით;

2. გადაწყვიტეთ დოკუმენტური ფილმის თუ რომელი მომენტია (ფილმში გადმოცემული პრობლემები, ზოგადი თემატიკა და სხვა) მოსახერხებელი განხილვისთვის. ამოირჩიეთ ერთი თემა და მოახდინეთ მასზე აქცენტირება;

3. მოიპოვეთ უახლესი ინფორმაცია თემატიკასთან დაკავშირებით და მოამზადეთ დისკუსიის სტრუქტურა.

4. მოიფიქრეთ საინტერესო იქნება თუ არა სტუმრის მონაწილეობა. თუ დიახ, მაშინ შეარჩიეთ რამდენიმე შესაბამისი ადამიანი და გაგზავნეთ მოსაწვევები თანმიმდევრობით. უმჯობესია მოაზრებული გყავდეთ ერთზე მეტი კანდიდატურა, რადგან, თუკი მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ის ვერ მოდის ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიწევთ.

5. გააცანით სტუმარს დებატების სტრუქტურა — რა იქნება ძირითადი თემა, რაზე უნდა იყოს დებატები, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს დებატები და როგორია განხილვების წესები.

კარგ პრეზენტატორს შეუძლია კარგად წარმართული დისკუსიის ორგანიზება. ფასილიტატორის გარეშე დისკუსია თავისუფალ სახეს მიიღებს, რაც მართებულია მხოლოდ ვიწრო წრის მეგობრებს შორის (ან ფილმის კლუბის რეგულარულ მაყურებლებს შორის).

გაითვალისწინეთ ვინ შეიძლება იყოს შესაფერისი კანდიდატი? ფასილიტატორი — უნდა იყოს სწრაფი და მტკიცე, მაგრამ ამასთანავე გააჩნდეს ალქმის უნარი. ერთად დაამუშავეთ განხილვის პროცესის სცენარი. სცენარი დაეხმარება ფასილიტატორს სწორად წარმართოს დებატები, დასვას შეკითხვები და შეინარჩუნოს დებატების ძირითადი ხაზი.

განხილვების მიზანია არა სტუმრის მონოლოგის მოსმენა, არამედ აზრთა გაცვლა როგორც მაყურებლებს, ასევე სტუმარსა და მაყურებლებს შორის.

განხილვების ინტერაქტიულობა უნდა უზრუნველყოს ფასილიტატორმა. ეს განხილვა უფრო ინტერვიუს ნაგავს — ყოველ შეკითხვას მაშინვე უნდა გაეცეს პასუხი.

- გადაწყვეტით რა იქნება ძირითადი საკითხი. თუკი დაკარგავთ კონტროლს დებატებზე, ყოველთვის შეგიძლიათ ამ საკითხს დაუბრუნდეთ. მიიღეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია თემასა და მონვეულ სტუმართან დაკავშირებით;

- მოამზადეთ სცენარი. მომზადების საუკეთესო საშუალება შეიძლება იყოს სტატიის დაწერა (რომელსაც შემდგომ სკოლის გაზეთში გამოაქვეყნებთ), რომლის დროსაც განსაზღვრავთ ძირითად თემებს;



- კარგია თუკი დაიმახსოვრებთ, ვინ იქნება აუდიენციაში: სტუდენტების ასაკს, სავარაუდო რაოდენობას, თემისადმი დაინტერესებას და ა.შ.

- ჩამოაყალიბეთ დისკუსიის მარტივი წესები და ჩამოწერეთ ისინი (მაგ.: დებატების დრო, დებატების თემა, ხანგრძლიობა, დებატორების სახელები, და სხვა). დისკუსიის დაწყებამდე გააცანით წესები აუდიტორიას.



## როგორია კარგი დებატორი?

უნდა შეეძლოს განხილვა, სწორი არგუმენტების მოყვანა, მოახდინოს მათი პრეზენტაცია საზოგადოებისათვის ან დასვას დამაფიქრებელი შეკითხვები, ეს ის თვისებებია, რომელთა სწავლა და განვითარებაც შესაძლებელია. კარგი დებატორი პატივს უნდა სცემდეს სხვების აზრს და უნდა იცავდეს დისკუსიის წესებს.

### ფასილიტატორის თვისებები:

1. ფასილიტატორი ფასილიტაციას უწევს დისკუსიას; წარმართავს განხილვას და სცენარის შესაბამისად აცნობს ქვე-თემებს;
2. ფასილიტატორი მართავს დროს — დისკუსიები დროში შეზღუდულია, ამიტომაც ის უნდა დაიგეგმოს და დროის განრიგი დაცული იქნას;
3. ფასილიტატორი წარმართავს დისკუსიას - ის საშუალებას აძლევს აუდიენციასა და მოწვეულ სტუმარს ისაუბრონ რიგ-რიგობით;
4. თუკი ფასილიტატორს აქვს მიკროფონი, მან არ უნდა გადასცეს ის დებატორს, უმჯობესია თავად დაიჭიროს, სანამ დებატორები საუბრობენ. მხოლოდ ამ გზით შეინარჩუნებს ის კონტროლს განხილვის პროცესზე;
5. თუკი აუდიენცია პატარაა, თითოეულ დამსწრეს უნდა მიეცეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება;
6. აუდიენციის მნიშვნელოვანი რეაქციაა ტაში. ეს არ უნდა გამოგრჩეთ დებატების დროსაც კი. აპლოდისმენტები შესაძლოა ინიცირებულ იქნეს ფასილიტატორის მიერ, მაგალითად: „მადლობთ მობრძანებისათვის“. (სტუმრები და აუდიენცია);

7. ფასილიტატორი ხელმძღვანელობს დებატების წესებით, თუკი დისკუსია არასწორი გზით წარიმართება, მან უნდა გამოიყენოს წინასწარ მომზადებული შეკითხვა, რომელიც დაეხმარება პროცესის სწორად მართვაში;
8. ფასილიტატორი ცდილობს მიიპყროს აუდიენციის ყურადღება სწორად დასმული შეკითხვებით;
9. ფასილიტატორი უნდა იყოს ზრდილობიანი და ამასთანავე თავდაჯერებული;
10. ფასილიტატორმა მუდმივად უნდა აკონტროლოს აუდიენცია. თუკი აუდიენციაში ორი ადამიანი საუბრობს, შესაძლებელია მათ დაუსვან შეკითხვა თუ რაზე ლაპარაკობენ, იქნებ ეს სხვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს. კარგი მეთოდია დებატების უკანა რიგებიდან დანყება, სადაც ჩვეულებრივ ნაკლები ყურადღებით ისმენენ ხოლმე (მაგალითად: კონკრეტული შეკითხვით მიმართეთ უკანა რიგებში მსხდომ მაყურებლებს);
11. ფასილიტატორი აჩქარებს დისკუსიებს - თუკი ვინმე ძალიან დიდხანს საუბრობს, შეგიძლიათ შეაწყვეტინოთ (მოიშველიეთ დასაწყისში დადგენილი წესები);
12. ძალიან მნიშვნელოვანია შეჯამებისა და შეფასების ეტაპი. არ არის აუცილებელი დებატური განხილვა, ზოგადად შეაჯამეთ და დაასრულეთ დისკუსია;
13. თუკი არსებობს ორი ფუნდამენტალურად განსხვავებული მოსაზრება, ფასილიტატორი უნდა შეეცადოს გაყოს მაყურებლები ორ ჯგუფად და თითოეულ მათგანს მისცეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება.



### ვებ-გვერდი

ეს ინტერნეტში თავის წარდგენის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა.

ვებ-გვერდის შექმნამდე უნდა გაითვალისწინოთ თუ ვისთვის და რატომ ქმნით მას?

**რა არის მისი მიზანი? რას გვინდა მივაღწიოთ?**  
უნდა ვიცნობდეთ ჩვენს მიზნობრივ ჯგუფს და ვიცოდეთ ჩვენი ვებ-გვერდის მიზანი.

**როგორ გამოიყურება კარგი ვებ-გვერდი:**  
სტრუქტურირებული ინფორმაცია, გრაფიკული დიზაინი; ინფორმაციის ლაკონურობა, და სიახლე.

**როგორ დავწეროთ ვებ-გვერდზე?** სტატია ვებ-გვერდზე ადვილად უნდა იკითხებოდეს და იყოს მოკლე, აგრეთვე გაყოფილი უნდა იყოს ნაწილებად ან სტრუქტურებად .....

**რა ხარჯებთანაა დაკავშირებული ვებ-გვერდის შექმნა?**

რეგისტრაცია 50-100 ლარი

გრაფიკული დიზაინი: 300-2000 ლარი

განთავსება: 50-100 ლარი

**როგორ წარმოვადგინოთ ჩვენი ვებ-გვერდი?**  
თქვენ შეგიძლიათ მიამაგროთ ის სხვა ვებ გვერდს. მოამზადოთ ბანერი და განათავსოთ ის ადგილობრივი ხელისუფლების ვებ გვერდზე ან კიდევ შექმენით თქვენი პროფილი რამდენიმე სოციალურ გვერდზე და მიამაგრეთ ის თქვენს ვებ-გვერდს.

**როგორ შევქმნათ ბანერი?**

თქვენ დამოუკიდებლად შეგიძლიათ გვერდის შექმნა გრაფიკულ პროგრამაში ან ინტერნეტში: [www.banner.generator.net](http://www.banner.generator.net)

**როგორ გახადოთ თქვენი ვებ-გვერდი საინტერესო?** განათავსეთ საინტერესო ლოგო, სურათები, შეარჩიეთ შინაარსთან შესაბამისი დიზაინი.

### სოციალური ქსელები

ეს თქვენი პროექტის წარდგენის იდეალური ხერხია. ერთჯერადი საქმიანობისთვის, როგორცაა კონცერტი, გამოფენა ან ტრენინგი არ არის საჭირო შექმნათ სპეციალური ვებ-გვერდი. მაგრამ შეგიძლიათ წარადგინოთ ისინი სოციალურ ქსელებში და ყურადღება მიიპყროთ. ეს უფასოა და თანაც შეგიძლიათ მიიღოთ ძალიან სწავი გამოხმაურება.

**facebook.com** - ეს არის უდიდესი სოციალური ქსელი, სადაც შეგიძლიათ შექმნათ თქვენი პროფილი. ის ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებს შორის; **Twitter.com** - ეს ქსელი ეფუძნება მოკლე შეტყობინებებს, და უმეტესად აშშ-ში გამოიყენება 30 წლის და მეტი ასაკის მქონე მომხმარებლების მიერ; **YouTube.com** - გამოცემის და თქვენი ვიდეოს გაზიარების ქსელია. პოპულარულია ახალგაზრდებს შორის; **MySpace.com**-ეს ქსელი უმეტესად გამოიყენება მუსიკის გაზიარების მიზნით; **Flicker.com** - ეს თქვენი სურათების გაზიარების ვებ-გვერდია. **LinkedIn.com** - ქსელი ფოკუსირებულია CV-ის გასაზიარებლად.

სოციალური ქსელის მარკეტინგის ოთხი წესი

1. ნუ გაავრცელებთ სპამს!
2. იურთიერთეთ - წამოიწყეთ დებატები!
3. იყავით თავაზიანი და გაიზიარეთ სხვისი აზრი!
4. გაავრცელეთ მხოლოდ სწორი ინფორმაცია!

### ბლოგები და მიკრო ბლოგები

ბლოგი, ეს თქვენი პროექტის წარდგენის ძალზედ მარტივი ხერხია. ყველაზე გავრცელებულია მიკრო ბლოგი-**Twitter.com**  
ბლოგების განთავსება შეგიძლიათ ვებ-გვერდებზე: **Blogspot.com**; **Blogger.com**

არ დაივიწყოთ: იყავით რეგულარული, წერეთ მოკლედ და ლაკონურად, რომ ადვილად იკითხებოდეს და გაავრცელეთ ბლოგები სოციალურ ქსელებში

## წყაროები

- „გახდი ცვლილება“ - სახელმძღვანელო ახალგაზრდული ინიციატივებისათვის (2012) — ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“
- „ახალი იდეები-ახალი პერსპექტივა“ - სახელმძღვანელო ახალგაზრდული ინიციატივებისათვის (2010) -ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“
- „ახალგაზრდების კულტურა,ცხოვრების წესი და მოქალაქეობა“-სტრასბურგი, ევროპის საბჭო (2001)
- „ახალგაზრდული ინიციატივების ქოუჩინგი“ SALTO — ახალგაზრდების მონაწილეობის გზამკვლევი (2007)
- „ვინ თუ არა შენ“-„ადამიანი გაჭირვებაში“ - პრალა
- „მეთოდოლოგია ფოკუს ჯგუფების შესახებ“ - ბარი ნეგლი,ნიშელ ვილიამსი
- „მოტივაცია, რომ იმუშაო“ - ფრედერიკ ჰერზბერგი, ნიუ-ბრუნსვიკი(1993)
- „ეფექტური კომუნიკაციის გზამკვლევი“ - დევიდ ვილკოკსი, დელტა პრესი, დაიტონი (1994)
- „მოტივაცია და პიროვნულობა“ - აბრაამ მასლოუ, ლონგმენი, ნიუ-იორკი (1987)
- „საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნული კვლევა“(2009) - საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ნაციონალური საბჭო
- „ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში“ (სამუშაო დოკუმენტი) - 2010 საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- [http://europa.eu.int/comm/youth/index\\_en.html](http://europa.eu.int/comm/youth/index_en.html)
- <http://www.salto-youth.net>
- [http://www.coe.int/T/E/Cultural\\_Co-operation/Youth/](http://www.coe.int/T/E/Cultural_Co-operation/Youth/)
- <http://www.iyfn.net.org>

*In today's world the role of young people in public life is growing exponentially. Our future generation is busy not only with furthering their education but also is getting more actively involved in identifying and solving civic problems.*

*If we will look around us, we will notice many critical issues that need to be addressed, things we need to change and improve. However, we often consider that these issues are not our business and wait hoping that someone else will take action to resolve these problems, weather it be government, local authorities or international organizations. Often we forget our own responsibility as a citizen. This responsibility we have to our community, our city and our country. In our community we must encourage all citizens to have a strong sense of belonging – you are a part of everything that surrounds you and you are the one who should care for it and contribute to its maintenance and development. You may consider your role and contribution insignificant but remember that even your small involvement can change many things.*

*Start with the simplest actions! Look around you! There are so many things that need to be done. You can be the initiator of change by encouraging others citizens to get involved, asking for their opinions and making decisions for improvement together. We hope this manual will inspire you to make a change in your community and help you learn about how the youth of our generation are contributing to make positive changes in their communities.*

*Now it's your turn!*



## INTRODUCTION WORDS

Through their actions, Youth Initiatives enable a large number of young people to become inventive in their daily life and to speak out on their local needs and interests but also on the main world issues

The aim of creation of this manual is to ensure that young people develop their creativity by giving them the opportunity to try out ideas through initiatives on different areas of life such as: arts and culture, social inclusion, environment, heritage protection, youth participation, rural development, youth policies, health, anti-drugs abuse, youth leisure, anti-racism, equal opportunities, youth sport, media and communication and lots more. Youth Initiatives allow young people to be directly and actively involved in their local community and therefore are a real springboard for youth participation

The wish of young people to participate in the life of their district, city, town or village, as well as have their say in worldwide questions, is relevant and young people are getting more and more involved. However, we can observe an evolution in these forms of involvement. By comparison to their elders, there are less debates, long arguments and interminable exchanges of political views. Now the method of involvement is more creative and is directly linked to the evolution of media and globalisation.



A particular fondness is becoming apparent in young people for creative forms of involvement, with images, music, theatre, digital developments, youth information, health and drugs education, environmental projects and social actions to the fore. A single Youth Initiative can achieve a lot of things such as creation of debate club; their young people can debate and discuss tough questions, creation of an opinion-based newspaper or local radio station, organizing information campaigns for human rights promotion or contribute to the environmental protection by cleaning territories, planting of tree etc.



## INTRODUCTION WORDS

|   |    |
|---|----|
| <b>CHAPTER I</b> – PIN worldwide and in Georgia.....                                | 44 |
| <b>CHAPTER II</b> -History of PIN project focused on Civil Society Development..... | 45 |
| <b>CHAPTER III</b> – Active Participation .....                                     | 46 |
| Local/regional/national youth initiatives.....                                      | 47 |
| Examples of youth initiatives.....  | 49 |
| <b>CHAPTER IV</b> – Levels of participation.....                                    | 50 |
| <b>CHAPTER V</b> – Motivation to participate- Maslow’s theory.....                  | 52 |
| <b>CHAPTER VI</b> – The road to youth initiatives.....                              | 53 |
| 5 steps for implementing youth initiative .....                                     | 53 |
| 10 questions for planning youth project.....  | 54 |
| <b>CHAPTER VII</b> – Challenges on the road .....                                   | 55 |
| Setting the scene for the project.....  | 55 |
| Group and time management.....  | 56 |
| <b>CHAPTER VIII</b> – PIN methodology of supporting youth initiatives.....          | 57 |
| <b>CHAPTER IX:</b> Kaleidoscope of youth initiatives .....                          | 58 |
| Tolerance and Community- Samtredia.....   | 58 |
| First Step – Gelati.....  | 59 |
| Chips Generation – Tskaltubo.....   | 60 |
| Take Care for Future - Tkibuli.....   | 61 |
| Debate Club – Terjola.....  | 62 |
| Regional Film Festival – Lanchkhuti.....  | 63 |
| Message to Self-government – Ozurgeti.....  | 64 |
| Improved Access to Social Services for Youth – Zugdidi.....                         | 65 |
| <b>CHAPTER X</b> - Youth Policy Development in Europe.....                          | 66 |
| Youth Policy in Czech Republic.....   | 67 |
| <b>CHAPTER XI</b> – Youth Policy in Georgia .....                                   | 68 |
| Youth Policy in the Regions.....  | 70 |
| Terjola Youth Parliament.....   | 71 |
| <b>CHAPTER XII</b> – Tools for youth initiative.....                                | 72 |
| Questionnaires / Interviews .....   | 72 |
| SWOT Analyses.....  | 73 |
| Documentary Films Screening and Discussions.....                                    | 75 |
| New media.....  | 79 |
| Acknowledgements.....   | 80 |

# CHAPTER I: PEOPLE IN NEED- WORLDWIDE AND IN GEORGIA

People in Need (PIN) is a Czech organization that provides relief aid and development assistance, while working to defend human rights and democratic freedom. It is one of the largest organizations of its kind in post-communist Europe, and has administered projects in thirty-seven countries over the past eighteen years. In 2013, PIN was one of the largest NGOs in the new EU member states working in relief and development.

PIN carries out social integration programs in the Czech Republic and worldwide. PIN has become an influential voice among Czech civil society by raising public awareness on global problems, emergencies, migration, and development cooperation.

